# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 28 მაისი, 2011 წელი.

№98 (6709)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# დასჯილი ქვეყანა



ძვირფასო რედაქცია, რუსთაველის პრემიის ლაურეატი პოეტები ისრაელში მიგვიწვიეს, სადაც ერთი კვირის განმავლობაში გაგვიმართავენ შეხვედრებსა და პოეზიის საღამოებს. როდესაც ინტერნეტით მიიღებთ ამ ლექსს, რომელიც 26 მაისის ღამეს ნანახგანცდილით შეძრულმა დავწერე, უკვე თვითმფრინავში ვიქნები. თუ დაბეჭდავთ, მადლობელი დაგრჩებით.

პატივისცემით

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

## 26 მაისი – თავისუფლების დღე(?!)

მარად მტრის კართან ვემებთ ხარბიელს,
ახია ჩვენზე, ახი!
თავისუფლების დღეს დაარბიეს,
თავისუფალი ხალხი.

დღეს ამ საცოდავ სამწუხროს მივმართავ, –
თვალში გვაურიან ნაცარს,
თავისუფლები არც ვყოფილვართ და
თავისუფლები არც ვართ.

ვინც ტვინში მძისა მტრობას გვიტენის,
ის ნაცთა დროშას გაშლის,
არ ვაღიაროთ ადოლფ ჰიტლერი,
უარი ვუთხრათ ფაშიზმს!

მჯერა უარყოფს ხალხი სილაჩრეს,
ჩვენ ღვთისმშობლისგან ვიშვით,
მე მაინც მჯერა,რომ გაიმარჯვებს,
მველი ქართული ჯიში!



**ორი „მთავარსარდალი“, ორი „სტრატეგია “ და... ერთი სამწუხარო შედეგი**

---

**ეს იყო არა სამართლებრივი გზით წესრიგის აღდგენა, არამედ ხალხზე აღვირახსნილი შურისძიება**

---

**მსოფლიოში სააკაშვილის სიმკაცრის გამო შეფიქრიანებული არიან**

---

**საპატრიარქოს შუამდგომლობა ხელისუფლებისადმი**

**ხელისუფლება როცა ფეხისუფლებას მიმართავს**

**რევოლუციური ენთუზიაზმის კიდევ ერთი მარცხი**

**საპროტესტო აქციის დარბევის დროს სამართალდამცველები ჟურნალისტებს აკავებდნენ, სცემდნენ, ართმევდნენ ფოტო და ვიდეოკამერებს**

**რას ზეიმობდა 26 მაისს სააკაშვილი?!**

**სახალხო პროტესტი თუ „რუსული პროვოკაცია“?**

საპატრიარქოს შუამდგომლობა ხელისუფლებისადმი

# ღმერთი სიმართლისა და მშვიდობისა ჩადგეს ჩვენს შორის!

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ხელისუფლებას შუამდგომლობით მიმართავს, რუსთაველზე აქციის დაშლისას დაპატიმრებულთა მიმართ სასჯელი ლმობიერი იყოს . საპატრიარქო მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მომხდარს ორი ადამიანი ემსხვერპლა და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულთა ოჯახებს.**

„ვწუხვართ იმ ფაქტის გამოც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ქართველი ერი ამ სახით შეხვდა. იმის მიხედვით, რაც ეკრანზე ვიხილეთ, ნათელია, რომ აქციაზე შეკრებილებმა სახელმწიფოს მხრიდან გაფრთხილება არ გაითვალისწინეს, მაგრამ სამართალდამცავთა მხრიდან გამოყენებული ძალისმიერი ქმედებების გამო სერიოზული ფიზიკური შეურაცხყოფა და ზიანი მიადგა მომიტინგეებს“, – ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, მომიტინგეთა დაშლის დაწყებისთანავე ილია II-ის ლოცვა-კურთხევით შემთხვევის ადგილზე მივიდნენ კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი და სხვა სასულიერო პირები, რათა შექმნილი ვითარება შეძლებისდაგვარად განემუხტათ და ხალხის ნაწილი ქაშვეთის ტაძარში შეეყვანათ.

„რამდენადაც ცნობილია, მიტინგზე მყოფთაგან ზოგი ამჟამად საავადმყოფოში მკურნალობს, ნაწილი კი – დაკავებულია. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დაპატიმრებულთა გამო შუამდგომლობით მიმართავს ხელისუფალთ, რათა მათ მიმართ სასჯელი იყოს ლმობიერი. ღმერთი სიმართლისა და მშვიდობისა იყოს ჩვენს შორის, ამინ!“, – აღნიშნულია საპატრიარქოს განცხადებაში.

ინტერპრესი

დარბევის ექო

# სახელმწიფო, რომელიც ადამიანის უფლებებს ფეხქვეშ თელავს

## სამართალდამცავებმა ძალას აშკარად გადაამეტეს

**ნაციონალური ტელეარხები ხშირად უჩვენებენ კადრებს, როგორ ელოდებიან ხელკეტებით შეიარაღებული მომიტინგეები სპეცრაზმელების შემოტევას – ნერვულად უბრახუნებენ ჯოხებს რკინის ჯებირებს... ეს სცენა რაღაცნაირად ბადებს განცდას, რომ აჟიტირებული, აგრესიული მასა, ვიღაცამ აუცილებლად უნდა დააცხროს. მაგრამ მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არ უნახავს სცენები, თუ რა უმოწყალოდ გაუსწორდნენ მანიფესტანტებს სახელმწიფოს ერთგული სპეცრაზმელები. ისინი ისე იყვნენ ზომბირებულნი, რომ აშკარად გამოხატული სიძულვილით ექცეოდნენ საკუთარ თანამოქალაქეებს. არც ერთ ნაციონალურ არხს არ უჩვენებია კადრი, თუ ხელკეტებით როგორ უსწორდება ათამდე სპეცრაზმელი მშვიდობიან მომიტინგეს – ახალგაზრდა ყმაწვილს, რომელიც გაქცევას ცდილობს, ის არანაირ წინააღმდეგობას არ უწევს ძალოვანებს. ეს ის ფრაგმენტია, რომელიც ერთი ოპერატორის კამერამ აღნუსხა, მაგრამ რა ვუყოთ მათ, რომლებიც კადრს მიღმა დარჩნენ.**

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მიმართა სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რადგან სამართალდამცავთა მხრიდან აშკარად გამოკვეთილი იყო ძალის გადამეტება, დაიწყოს სრული და მიუკერძოებელი გამოძიება, ხოლო დამღრვევი პირები პასუხისმგებაში მიეცნენ. ამ შემთხვევაში, მოწოდება შეიძლება მხოლოდ თეორიულ მასალად დარჩეს, რადგან ძალიან რთულია სპეცრაზმელების იდენტიფიკაცია, მათ თავზე ჩაფხუტები ჰქონდათ, ხოლო არც ერთს სამკერდე ნიშანი არ ეკეთა. ამდენად ძალიან ძნელია, ან თითქმის გამორიცხულია, რომელიმეს პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

მაგრამ იმედი გადაწურული არ არის. გუშინ გამართულ ბრიფინგზე საიას თავმჯდომარემ **თამარ ჩუგოშვილმა** უფასო სამართლებრივი დახმარება შესთავაზა ყველა პირს, რომელთაც სამართალდამცავთა მხრიდან ძალის გადამეტების გამო სხვადასხვა სახისა და სიმძიმის ჯანმრთელობის დაზიანება მიიღეს. საიას იურისტების თქმით, მთავარია ამ ადამიანებმა დროულად მიმართონ, სანამ შეიძლება მათზე ექსპერტიზის ჩატარება. დაზარალებულებმა სახელმწიფოსგან ფინანსური ანაზღაურება უნდა მოითხოვონ. საიას უკვე მიმართა რამდენიმე მოქალაქემ და ჟურნალისტმა.

რაც შეეხება აქციის შემდეგ



დაკავებულ ადამიანებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით ასეთი პირია 90. ნაწილს ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა, ნაწილს კი – ფულადი ჯარიმა. თუმცა საიას იურისტები დღემდე უშედეგოდ ეძებენ 30 გაუჩინარებულ ადამიანს; მათ შორის არის ირაკლი ბათიაშვილიც. თამარ ჩუგოშვილის თქმით, ისინი სავარაუდოდ თბილისის წინასწარი დაკავების იზოლატორში ჰყავდათ, მაგრამ ახლა რეგიონებში გადაანაწილეს, თუმცა კვლავ გაურკვეველია ამ ადამიანების ვინაობა, მათ არც ადვოკატის აყვანის შესაძლებლობას აძლევენ. ამ პირთა შესახებ შეუძლებელია სრული ინფორმაციის მოპოვება.

იხ. 5 გვ.

ექო

**26 მაისს, გამთენიისას თბილისში, რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებს ექსპერტები ზაზა ფირალიშვილი, ზურაბ აბაშიძე, ვასილ ჭყოიძე და თეა გოგოტიშვილი აფასებენ.**

# რევოლუციური ენთუზიაზმის კიდევ ერთი მარცხი



**ზაზა ფირალიშვილი, ფილოსოფოსი:** – რამდენიმე დღის განმავლობაში ვადევნებდით თვალს, თუ როგორ ცდილობდა ხელისუფლება, გაეტყუებინა რადიკალური ოპოზიცია კანონის ფარგლებს გარეთ, ხოლო ოპოზიცია – იძულებული გაეხადა, ხელისუფლება ძალადობაზე წასულიყო. სამწუხაროდ, ორივემ შეძლო ეს. სიტუაცია ნამდვილად არ არის სახარბიელო და შესაშური.

პირველად მოხდა, რომ ხელისუფლების მხრიდან ძალადობას არ მოჰყოლია საზოგადოების მასობრივი პროტესტი, თუმცა კი, ვფიქრობ, მოჰყვა ხელისუფლებისთვის გაცილებით უარესი რამ: ახლანდელი გარემოებები ჩვენ იძულებულს გვხდის, ვეძებოთ რაციონალური გზები და უმწიფარი რევოლუციური რომანტიზმისგან საბოლოოდ გავთავისუფლდეთ.

რადიკალური ოპოზიცია არც ინტელექტუალურად და არც პოლიტიკურად არ აღმოჩნდა მზად იმ შედეგებისთვის, საითაც თავადვე მიჰყავდა საქმე. უფრო მეტიც, სამწუხაროდ, ცუდად გათვლილი მოქმედებით საშუალება მისცა ხელისუფლებას, 26 მაისს მორიგ რუსულ შეთქმულებაზე გამარჯვების პროპაგანდისტული ფორმულით შეხვედროდა და კიდევ ერთხელ დაერწმუნებინა საშინაო და საგარეო მეთვალყურეები თავის უალტერნატივობაში.

2011 წლის მაისი ჩვენი სიყმაწვილის ილუზიათა, ჩვენი სამიტინგო და რევოლუციური ენთუზიაზმის კიდევ ერთი მარცხის თვე აღმოჩნდა. უნდა ვაღიაროთ, რომ ის სამყარო, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ, კარდინალურად განსხვავდება 80-იანი წლების დასასრულის სამყაროსაგან.

ყველაზე ცუდი, რაც ამ მოვლენებს შეიძლება მოჰყვეს, არის საზოგადოებრივი ძალების პარალიზება და ავტორიტარული მართვის ინერციის გაძლიერება. ამ საშიშროების შესახებ უკვე დიდი ხანია, ვაფრთხილებდით რადიკალურ ოპოზიციას. ცხადია, ხელისუფლება თავისი მორალური სახის გადარჩენას შეიძლება „რვიანთან“ მოლაპარაკებათა სწრაფი განახლებით შეეცადოს, თუმცა საეჭვოა, რომ ამ უკანასკნელის სუბიექტთა შორის ვინმეს აზრად მოუვიდეს, დაუყოვნებლივ ისარგებლოს წუხანდელი ღამის შედეგებით.

ყველა შემთხვევაში ჩვენ ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების საკმაოდ რთულ ფაზაში აღმოვჩნდით. აშკარაა, რომ ისტორია აღარ გვაპატიებს, რომ ფუჭ ენთუზიაზმსა და იმედებზე ავაგოთ ჩვენი სტრატეგია და ამაოდ გავფანტოთ ჩვენი საზოგადოებრივი ძალები.

**ზურაბ აბაშიძე, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი:** – წარმოდგენილია ერთი მხრივ აქციის ორგანიზატორთა სრული უპასუხისმგებლობა და გამომწვევი ქმედება, ხოლო მეორე მხრივ ხელისუფლების მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენება და დაუნდობლობა. ვუერთდები მათ, ვინც შეშფოთებულია იმით, რაც მოხდა. ბუნებრივია, გარდაცვლილთა მიმართ მინდა გამოვხატო ჩემი ულრმესი მწუხარება და გულისტკივილი.

მომხდარი საზოგადოებაში აუცილებლად გამოიწვევს აზრთა და პოზიციათა სხვადასხვაობას და დაპირისპირებას. ეს არანაირად არ შეუწყობს ხელს საზოგადოებრივი აზრისა და, საერთოდ, საზოგადოების კონსოლიდაციას. მომხდარის პოზიტიურ შედეგებს ნაკლებად ვხედავ. მომხდარის თავიდან აცილება ძალიან იოლად შეიძლებოდა. აქციის ორგანიზატორებს ძალიან გაუჭირდებათ იმის ახსნა ქართული და საერთაშორისო საზოგადოებისათვის, თუ რატომ არ შეასრულეს მათ ელემენტარული სამართლებრივი მოთხოვნები და არ დატოვეს პარლამენტის წინ მდებარე ტერიტორია. მათი გადაწყვეტილება, დარჩენილიყვნენ მოედანზე და თავად მიეღოთ ალლუმი, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ამას განსაკუთრებით ვერ გაიგებენ იმ ქვეყნებში, სადაც სამართლებრივი აზროვნებაა.

ფაქტია, რომ ხელისუფლებამ მათ შესთავაზა, შეეწყვიტათ მანიფესტაცია და სხვაგან გადასულიყვნენ. რამდენადაც მახსოვს, „სახალხო კრების“ ლიდერები თავიდან ცდილობდნენ კანონის ჩარჩოებში მოქმედებას, შემდეგ კი ამის საპირისპირო ნაბიჯები გადადგეს. მაგრამ, მეორე მხრივ ხელისუფლებას თავისუფლად შეეძლო მიტინგის ისე დაშლა, რომ ზედმეტი, არაპროპორციული ძალა და თავის ქმედებაში დასჯის სინდრომი არ შეეტანა. ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება გაცილებით მოგებული დარჩებოდა. როგორც ჩანს, რაღაც ეტაპზე ხელისუფლებაში იმძლავრა მა სურვილმა, რომ დემონსტრანტები დაესაჯათ, მათ ფიზიკურად გასწორებოდნენ, რაც აბსოლუტურად არასწორი გადაწყვეტილება იყო.

მსოფლიოში ძალიან ბევრი ძალადობა ხდება. სამწუხაროდ, ასეთი მოვლენები ბევრ ქვეყანაშია. მიუხედავად ამისა, ჩვენ აქციის ასეთი დასასრულის თავიდან აცილება შეგვეძლო.

რაც შეეხება მომხდარის პოლიტიკურ შედეგებს. მესმის, რომ ამაზე საუბარი ჯერ ადრეა, მაგრამ ამ ეტაპზე იმ ადამიანებზე ფიქრი და ზრუნვაა მთავარი, ვინც დაზარალდა. საუბარია იმ ადამიანებზე, ვინც ამ მოვლენების გამო დაიღუპა და დაზარალდა. მაგრამ, გარკვეული დროის შემდეგ დადგება პოლიტიკური პასუხისმგებლობის თემა და ვფიქრობ, რომ ეს მოვლენები ძალიან უარყოფითად იმოქმედებს მანიფესტაციის ორგანიზატორთა ავტორიტეტზე და, საერთო ჯამში, ცუდად იმოქმედებს ხელისუფლების პრესტიჟზეც. ეს ყველაფერი კი, საერთო ჯამში, ცუდად იმოქმედებს ქვეყნის პრესტიჟზე.

**ვასილ ჭყოიძე, ევროპული ინტეგრაციის კვლევის ცენტრის პრეზიდენტი:** – თუ ჯერჯერობით დეტალებს გვერდზე გადავდებთ, ვფიქრობ, აქციის ამ ფორმით დასრულება ერთი თვალსაზრისით იყო ლოგიკური – აქციების დაწყებისთანავე ნათელი იყო, რომ აქციის ორგანიზატორები ორიენტირებული იყვნენ, არა ვთქვათ, მასობრივ აქციაზე, არამედ კონკრეტულ შეტაკებაზე და ხელისუფლებასთან დაპირისპირებაზე.

იხ. 4 გვ.

განცხადება

## ეს იყო არა სამართლებრივი გზით წესრიგის აღდგენა, არამედ ხალხზე აღვირახსნილი შურისძიება

**სააკაშვილისა და ნაციონალური ხელისუფლების მიერ 25 მაისის ღამეს ხალხის დასაშლელად გამოყენებული სასტიკი მეთოდები მიუთითებს, რომ ეს იყო არა სამართლებრივი გზით წესრიგის აღდგენა, არამედ განსხვავებული აზრის მქონე საკუთარ მოქალაქეებზე განხორციელებული აღვირახსნილი შურისძიება.**

შურისძიებიდან რამდენიმე საათის შემდეგ იმავე ტერიტორიაზე სამხედრო აღლუმის ჩატარება, გარდა ჯანსაღი გონებისათვის წარმოუდგენელი ცინიზმისა, არის სააკაშვილისა და ნაციონალური ხელისუფლების მიერ ქართული ჯარის დისკრედიტაციისა და მისი დემორალიზაციის მორიგი მცდელობა.

ხელისუფლების მიერ კონტროლირებული საინფორმაციო საშუალებების, მათ შორის, საზოგადოებრივი მაუწყებლის, მიერ უკანასკნელი დღეების მოვლენათა გაშუქება სამარცხვინო ფურცლად დარჩება ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში.

კულტურის სფეროს წარმომადგენელთა მიერ სააკაშვილის ხელიდან სახელმწიფო ჯილდოს მიღება არის ამორალური საქციელი და უარის თქმა იმ იდეალებზე, რომლებსაც კულტურა უნდა ემსახურებოდეს.

ქართველი ხალხის, მეგობარ სახელმწიფოთა მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ვსვამთ კითხვას: როდემდე შეიძლება მშვიდად ან, უკეთეს შემთხვევაში, ზომიერი „შეშფოთებით“ ვუყუროთ საერთაშორისო თანამეგობრობის წევრ ქვეყანაში სადისტური მიდრეკილებების ხელისუფლების სასტიკ და აღვირახსნილ ძალადობას საკუთარ ხალხზე?

„ქართული აკადემია“ გმობს სააკაშვილის რეჟიმის მორიგ დანაშაულს და მოითხოვს უსაფუძვლოდ დაკავებულ მოქალაქეთა დაუყოვნებლივ გათავისუფლებას.

„ქართული აკადემია“
26.05.2011.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ ჭირი დანახული ჯობს

# სიძულვილის დღე,

## ანუ ხელისუფლება როცა ფეხისუფლებას მიმართავს

ამ რამდენიმე სტრიქონს ძალიან აღშფოთებული, მაგრამ ამავე დროს გარკვეული გულისტკივილით ვწერ. ჩემი აღშფოთება, ცხადია, გასაგებია, რადგან არ მეგულება დღეს საქართველოში ვინმე ჭკუათმყოფელი, ვინც აღშფოთებული არ არის იმ საშინელი ჩინგისხანობით, რისი მოწმენიც „დამოუკიდებლობის დღის“ ღამით გავხდით. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ვარდებს ამოფარებულმა ხელისუფლებამ მშვიდობიანად გათენება არ აცალა ჩვენი ნანინანატრი დამოუკიდებლობის მეოცე წლისთავს. და აშკარა გახადა, რომ ეს „დამოუკიდებლობა“, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, კარგა გვარიანად დამოკიდებულ-ჩამოკიდებულია ერთ კაცზე, რომელსაც, ყველასაგან განსხვავებულად, მხოლოდ სათავისოდ ესმის „დამოუკიდებლობაც, დემოკრატიაც და თავისუფლებაც“, რაც მთელი შვიდი თუ რვა წლის მანძილზე ძირფესვიანად ეწინააღმდეგება ამ სამი ძვირფასი სიტყვის საერთო-სახალხო გაგებას.

რაც შეეხება გარკვეულ გულისტკივილს, ზემოთ იმიტომ ვახსენე, რომ მახსოვს, დღეს აგრერიგად თავშერცხვენილ ამჟამინდელ ხელისუფლებას რა სამომავლო იმედითა და რწმენით დაუდგა ხალხი გვერდში, რომელი იმედიცა და რწმენაც არა მარტო ვერ გაამართლეს ხელვარდიანებმა, არამედ სისხლთან შეზავებულ ლაფში ამოსვარეს. თანაც რამდენჯერმე. არადა ამჯერად ამ უკვე ეგრეთ წოდებულ ხელისუფალთ ნამდვილად არ უნდა უკვირდეთ, თუ რატომ სთხოვს ხალხი ამდენ „დამოუკიდებლობას, დემოკრატიასა და თავისუფლებას“. წინა ორი ხელისუფლებისგან განსხვავებით, ნაციონალებმა კეთილი დაპირებების ნამდვილი ქარიშხლის კორიანტელი დაატრიალეს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას, დემოკრატიასა და თავისუფლებას მოწყურებულ საქართველოში, მაგრამ ძალიან სამწუხაროდ, რადგან ძალიან, ძალიან ბევრი რამ შუმი ტყუილი გამოდგა... ასეა, ძველი ნათქვამია, ხალხი კი არა, ბავშვი არ უნდა მოატყუო, თუ დაჰპირდები რასმე, უნდა შეუსრულო კიდეც. მით უმეტეს, ხალხი ბავშვი არ არის, დაპირებულს აუცილებლად მოგთხოვს...

და აკი ითხოვს კიდეც. თანაც უკვე მერამდენეჯერ. მაგრამ დამოუკიდებლობის ნაცვლად რეზინის ტყვიებს ვიღებთ, დემოკრატიის ნაცვლად — მხუთავ გაზს, ხოლო თავისუფლების ნაცვლად — ხელკეტებს, და ყოველივე ამას აგვირგვინებს ადამიანის სახედაკარგულ ნიღბოსან-აირწინაღიანთა პანღური, პანჩური, ჭიტლაყი, ანუ ფეხისუფლება, რომელსაც ასე გულუხვად იყენებს ჩვენად თავშერაცხილი ნაციონალთა ხელვარდიანი ვაიხელისუფლება.

მართალი გითხრათ, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს, სულაც არ მსიამოვნებს, რომ „დამოუკიდებლობის დღეს“ ხალხში რისხვის გამოსახატავად გაისმოდა: „ამას ჰიტლერი თუ იზამდა“, „ეს ნაღდი ფაშიზმია!“ „ეს შაჰ-აბაზსა და ჯალალედინსაც არ უქნია!“ „სააკაშვილი პირწავარდნილი ფიურერია!“ „ნაციონალების პოლიციამ იგივე დამართა ჩვენს ხალხს, რასაც გესტაპო ებრაელებს უშვრებოდა!“

არადა თვალებიდან არ გამომდის ის ოციოდე წლის ჭაბუკი, თავისუფლების მოედანზე თავისუფლებისთვის მისული, რომელიც მოსწავლეთა სასახლის ერთ-ერთ კუთხეში მოიმწყვდია ათმა ნიღბიან-აირწინაღიანმა (თითქოს ერთი ან ორი არ ეყოფოდა!), რომელთა სახით ახალგაზრდა ქართველის დათრგუნვილ სხეულზე თვალნათლივ დავინახე ნაციონალების „შემდგარი“ სახელმწიფო.

თვალებიდან არ გამომდის (დღემდე არნახული!) შავოსან ფეხისუფალთაგან ხელებშებორკილი ადამიანები, რომლებიც პირდაპირ მიწაზე ეყარნენ წვიმისა თუ სისხლის გუბეებში... და სიმწრის ოფლი სდიოდათ დამოუკიდებლობით, დემოკრატიითა და თავისუფლებით გამოჭედილი ყურებიდან.

ამ სამ სიტყვას კი ისევ და ისევ უტიფრად იმეორებდნენ ხელვარდიანი ხელისუფალ-ფეხისუფალნი, რომელთა შორის დროდადრო ეკრანზე ჩანდნენ, ეტყობა, მგზნებარე ნაციონალებად „ქიპმოჭრილნი“ მიხეილ მაჭავარიანი, აკაკი მინაშვილი, გიგი წერეთელი, ნუგზარ წიკლაური, ამათ მიტმასნილი ცნობილი ვაიისტორიკოსი სიმონ მასხარაშვილი და თავგადაკლული ვარდოსანი ეკა (ეკატერინე) ხერხეულიძე (აფსუს, გვარო!) და ამ დროს ტელეეკრანის ერთი სტუმრისგან მომესმა თავზარდამცემი ფრაზა: (ნეტავი არ გამეგონა!): მინდა, რომ იმ დროს მოვესწრო, როცა ამ ქოსატყუილა არამზადებს არა მარტო გავასამართლებთ, არამედ ცოცხლად ტყავს გავაძრობთ, ტყავს, რომელსაც ჩვენი ტყავის ფასად ინარჩუნებენო...


დარბევა

და დამოუკიდებლობის დღე პირადად, ჩემთვის (და, ალბათ, ძალიან ბევრისთვისაც!) საშინელ სიძულვილის დღედ იქცა. და წამიერად წარმოვიდგინე, რომ მიწაზე დაყრილი, ხელებშებორკილი გასისხლიანებული ადამიანები ამ სიძულვილისგან გათელილი სიყვარულის ყვავილები იყვნენ...

**გურამ წიკლაური**

*P. S. კალიგულას უთხრეს თურმე, იღონე რამე, ხალხს სძულხარო. მერე რა, ვძულდე, ოღონდ ჩემი ეშინოდეთო, მიუგია გაყვინიზებულ იმპერატორს. მაგრამ როგორც ყველაფერს, საბედნიეროდ, ხალხის შიშსაც თავისი საზღვარი აქვს...*

*გ. წ.*

◉ ჩვენიანი და იმათიანი?!

***მერწმუნეთ, 26 მაისს ტელევიზიით ნანახ-განცდილის სიმწრის გამო წერის და, მით უფრო, განსჯა-ანალიზის არანაირი სურვილი არ მქონია, მაგრამ თუ გუშინ მაინც ავიღე კალამი, უმთავრესად ჩემივე კორპუსელი ორი ხანდაზმული მანდილოსნის დიალოგის გამო, რომლის მოწმე-მონაწილე იმ „საზეიმო“ დილას ჩემდა უნებლიეთ გავხდი...***

***ბავშვობაში, ალბათ, ყველას ერთხელ მაინც გვითამაშია ჯოხის ცხენზე ამხედრებული და ჯოხისავე ხმალ თუ ავტომატმომარჯვებული „ჩვენიანის“ როლი, დაუნდობლად რომ ებრძოდა თეთრგვარდიელ ან ფაშისტ-ნაცისტ „იმათიანებს“, მაგრამ დღეს, ამ „გაგანია დემოკრატიისას“, კვლავ ჩვენიანი და იმათიანი?***

***თანაც ქართველთა შორის?!***

***თუმცა ამაზე — წერილის ბოლოს, ახლა კი...***

# ორი „მთავარსარდალი“, ორი „სტრატეგია“ და... ერთი სამწუხარო შედეგი

## რა უნდა იყოს მთავარი დღეს ხელკეტების „მარჯვედ“ მქნეველი ხელისუფლებისთვის

ნათქვამია და სწორია — ბრძოლისას ლომებს რომ ცხვარი ჩაუყენოთ სათავეში, დამარცხდება ნადირთა მეფეებისგან შედგენილი ლაშქარი, მაგრამ თუ ლომი უწინამძღვრებს, ცხვრის ფარამაც შეიძლება გაიმარჯვოს.

თუმცა მარტო წინამძღოლის ლომგულობაც არ კმარა — ბრძოლისას, ბევრ სხვა რამესთან ერთად, სათანადო ტაქტიკისა და სტრატეგიის ცოდნა, ჯეროვანი გათვლების გაკეთების უნარიც არის საჭირო.

და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვან-აუცილებელია (თუ უმთავრესი არა!), ბრძოლის მიზანიც უნდა იყოს გამოკვეთილი,

თანაც ზოგადად „დიადი და ნათელი“ კი არა, ერთობ პრაგმატული და, ამჟამინდელი მოდური გამოთქმით თუ ვიტყვით, „მიღწევადი“.

ამ ორი ფაქტორიდან რომელიმე გვქონდა და გვაქვს ქართველებს?

ამის საილუსტრაციოდ ავიღოთ ორი ბოლოდროინდელი მოვლენა — 2008 წლის აგვისტო და წლევანდელი 26 მაისის ღამე.

მთავარსარდლებში რომ არც მაშინ გაგვიმართლა და არც ახლა, ფაქტია (არ გვინდა „დაწვრილმანება“, გორის მიწაზე განრთხმული დაცვაგადაფოფრილი თუ რუსთაველის პროსპექტიდან კორტეჟით გაქცეული „მთავარსარდლების“ განცდათა აღწერა და სხვა)!

**რომ ჰქონოდა, „ყოჩაღ ჯარისკაც შვეიკს“ ეცოდინებოდა, რომ ჩხუბი მორევაზეა და „დაჟანგულტანკებიან“ რიცხვმრავალ რუსებს ამ ეტაპზე ვერ დავამარცხებდით.**

დავმარცხდით კიდეც და **მაინც ვამტკიცებთ... გავიმარჯვეთო(?!).**

რანაირად? ახალი ტერიტორიების დაკარგვით?!

**აჰა, იმით გავიმარჯვეთ, რომ რუსეთს ნიღაბი ჩამოვგლიჯეთ და მთელ დუნიას დავანახვეთ მისი ჭეშმარიტი სახე — აგრესორისა და ოკუპანტისა?**

**რაო, აქამომდეც უჩვენოდაც არ იცოდა ეს იმ მთელმა დუნიამ?**

მართლაც, ვაი ჩვენ, „გამარჯვებულთ“, და ჩვენს პატრონსაც!

ახლა მეორე „მთავარსარდლისაც“ ვთქვათ, 26 მაისს რუსთაველზე რომ დაუხვდა „მტერს“.

არც მან იცოდა, რომ პლასტმასის ხელკეტებით ვერ მოერეოდა კარგად აღჭურვილ-შეიარაღებულ იმ პრეზიდენტის სპეცდანიშნულების რაზმის წევრებს, რომელი პრეზიდენტის ჩანაცვლებასაც თავადაც ესწრაფვოდა?

**არ იცოდა? კარგი. მაშინ იქნებ მის „სტრატეგიაში“ მაინც იყო პრაგმატული და „მიღწევადი“ მიზანი?**

თუ ის მიზანი ჰქონდა დასახული, რომელსაც „მიაღწია“, ტყუილად გარჯილა: **რაო, სხვადროინდელ ამბებზეც რომ არაფერი ვთქვათ, 2007 წლის ნოემბრის მაგალითითაც ხომ ნათლად დაინახა მთელმა დუნიამ, რაოდენ „დესპოტი“ და „არადემოკრატი“ იყო და არის პრეზიდენტი სააკაშვილი?**

რაღა საჭირო იყო ამის „საილუსტრაციოდ“ ახალი სისხლი და მსხვერპლი?

**ეჰ, სამწუხაროდ, ისევ ძველი დავითითა და თამარით უნდა ვიამაყოთ! ახალი — ფაფუ!!!**

**მარტო უდიდესი მეფის საფლავზე ფიცის დადება რომ კმაროდეს!!!**

ახლა კიდევ ერთი რამ ვთქვათ ამ ორივე „სტრატეგოსი“ „მთავარსარდლის“ უუნარობაზე — **დაისახონ რეალური და არსებული ვითარების შესატყვისი მიზანი:**

ნებისმიერი ერის ცხოვრებაში არსებობს თუნდაც ერთი გამორჩეული თარიღი, რომლის ხელყოფა კი არა, ამისი მცდელობაც კი, როგორც იტყვიან, ვაშინერს!

ქართველთათვის, ყოველი ქართველისთვის ასეთია 26 მაისი — დამოუკიდებლობის დღე.

ყოველი ქართველისთვის-მეთქი, ხაზგასმით იმად ვამბობ, რომ ბევრი ქართველისთვის, ცხადია ნაცმოელებისა და მათი თანამოაზრე-თანამდგომებისთვის, არის კიდევ ერთი „დღესასწაული“ — 23 ნოემბერი, ვარდების რევოლუციის დღედ მონათლული თარიღი.

ჰოდა, ის რომ დაისახო მიზნად, ვთქვათ, ამ რევოლუციის წლისთავის აღსანიშნავად გამიზნულ აღლუმს არ ჩავატარებინებ მთავარ ნაცმოელს — დამარცხებულ მთავარსარდალს მიხეილ სააკაშვილსო, ეს დანარჩენი ქართველობისთვის, შესაძლოა, რამდენადმე მისაღებ-გასაგებიც იყოს, მაგრამ დამოუკიდებლობის აღდგენის საიუბილეო, მეოცე წლისთავის აღსანიშნავ აღლუმს ჩავშლითო რომ დაიჩემებთ, ეს „დიდი და ნათელი“ მიზანი როგორ მოგიწონოთ და მივილოთ, პლასტმასკეტიანთა „სტრატეგოსებო“?

ახლა ამ კუთხით მეორე „გამარჯვებული მთავარსარდლის“ ამბავიც „გავაჟღეროთ“: კი, ბატონო, ვთქვათ, 26 მაისის პირველის ერთი წუთისთვის უკვე დარღვეული გახლდათ კანონი — მიტინგის გამართვის ნებართვა უკვე ვადაგასული იყო, მაგრამ იქნებ ცოტაოდენიც გვეცლია მომიტინგეთათვის?

**და, რაც მთავარია, რა აუცილებელი იყო საჭიროზე მეტი, განუზომლად მეტი, ყოველგვარ გონივრულობას მოკლებული** (იმის გათვალისწინებით მაინც, რომ ქართველებს ქართველებთან გვქონდა საქმე! თუ კვლავ ისეა, როგორც კომუნისტთა ზეობის საწყის ეტაპზე იყო — „მოვკლავ დედას, მოვკლავ მამას, თუ პარტია მეტყვის ამას?) **ძალის გამოყენება, ვიდრე ამას არსებული ვითარება მოითხოვდა?**

ერთი გამაოგნებლად საყურადღებო მომენტიც (ღმერთმა დამიფაროს რამენაირი ანალოგიისგან, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა) — 1989 წლის 9 აპრილსაც გააფრთხილეს მომიტინგეები, დაიშალეთო, **მერე კი, დარბევის დაწყების წინ, 26 მაისის ღამისგან განსხვავებით, მომიტინგეებს დერეფანიც გაუხსნეს — ამ გზით წადით თუ გაიქეცითო.**

ახლაც რად არ მოიქცნენ თუნდაც ასე? **რა საჭირო იყო რამდენიმე ასეული შეიარაღებული მომიტინგის ფაქტობრივად გაურღვეველ ალყაში მოქცევა, დაუნდობლად ცემა-დარბევა** (ნეტავ არ გვენახა ის კადრები, როგორ დაუზოგავად სცემდა რამდენიმე სპეცდანიშნულების რაზმელი ერთ მომიტინგეს, რომელსაც წაქცეულსაც არ შეეშვნენ!) **და თვით გაქცეულთა დევნაც?**

რაო, ერთი რუსული ანდაზისა არ იყოს, ბეი სვაიხ, ჩტობ ჩუჟიე ბაიალის?!

**და თუმცა ძალადობა მუდამ ძალადობას შობს, ასე თუ ისე, ამ ეტაპზე ხელისუფლებამ გაიმარჯვა** (სწორედ ამ ხელისუფლების უგუნური, უფრო სწორად, საერთოდ ყოველგვარ გონიერებას მოკლებული საქციელი არ მაძლევს უფლებას, ვთქვა, კანონიერებამ გაიმარჯვა-მეთქი, კანონი მართლაც რომ ითვალისწინებდეს მის ამგვარ მოქმედებას!), **მაგრამ საბოლოო ჯამით, ქართული საქმე, სრულიად ქართველობა დამარცხდა კიდევ ერთხელ, რადგან ამ უგუნურობამ, სამწუხაროდ, უფრო გააღრმავა საზოგადოებაში აქამდეც არსებული განხეთქილება-დაპირისპირება.**

აი, ამისი დამადასტურებელი ერთი ფაქტი, რომელზეც წერილის დასაწყისში მოგახსენეთ:

**26-ში დილით ჩემი საცხოვრებელი კორპუსის წინ ძელსკამზე ჩამომსხდარი ორი ხანდაზმული მანდილოსანი საუბრობდა.**

**— რამდენი კაცი დაიღუპა წუხელ, ხომ არ იცი? — იკითხა ერთმა.**

**— ორი დაიღუპა, ერთი მილიციონერი, ჩვენიანი(?!), და ერთიც — იმათიანი(?!), — უპასუხა მეორემ.**

სჭირდება ამას რაიმე კომენტარი?

ან თუნდაც იმის თქმა არის საჭირო, რომ უწინარესად სწორედ საზოგადოების ამგვარი გათიშულობა-დაპირისპირების დაძლევა და გაერთიანება უნდა იყოს ამჟამად ხელკეტების „მარჯვედ“ მქნეველი ხელისუფლების ერთი მთავარი მიზან-საზრუნავი?

**რუსლან რუსია**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ექო

# რევოლუციური ენთუზიაზმის კიდევ ერთი მარცხი

(მეორე გვერდიდან)

საქართველოს უახლეს ისტრორიაში არ მახსოვს შემთხვევა, როცა ყველაზე მღელვარე და დაძაბულ ვითარებაშიც კი, ვინმეს მოსვლოდა აზრად ხელკეტებით შეიარაღებულებს შეეცადათ დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სამხედრო აღლუმის ჩაშლა. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ რაც მოხდა, გარკვეულწილად ლოგიკური იყო.

სამწუხაროდ, აქციის მონაწილეებმა თავად შეარჩიეს საკმაოდ უხერხული დრო და ხელისუფლება არჩევანის წინაშე დააყენეს. საკითხი ასე იდგა – ხელისუფლება დაიცავდა ქვეყნის ღირსებას და ჩაატარებდა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სამხედრო აღლუმს ან ძალას გამოყენებდა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით.

ჩემი აზრით, ხელისუფლებას სპონტანური გადაწყვეტილება არ მიუღია. მან არჩევანი გააკეთა სახელმწიფოს ღირსების დაცვაზე, თუმცა, რის ფასად დაგვიჯდა ეს, მომავალში კიდევ გამოჩნდება. პიროვნებებისთვის, რომლებიც პუტინთან ერთად საბჭოთა არმიის აღლუმში იღებდნენ მონაწილეობას, მიგვეცა თუ არა აღლუმის ჩაშლის საშუალება? ვერ გეტყვით, ტექნიკური თვალსაზრისით რამდენად სწორად ჩატარდა აქციის დაშლის ოპერაცია. ძალზე სამწუხაროა, რომ აქციის დაშლას მსხვერპლი მოჰყვა და სხვებთან ერთად ჟურნალისტებიც დაზარალდნენ.

ამ აქციის პოლიტიკური ღირებულება იმაში მდგომარეობს, დაიხევდა თუ არა ხელისუფლება უკან პუტინის მხარდამჭერი პოლიტიკური ორგანიზაციების წინაშე და დაგვეყენებინა ქვეყნის პრესტიჟი კითხვის ნიშნის ქვეშ. ძალიან მიჭირს იმის თქმა, თუ რამდენად მოხერხდა ეს. შედეგები, რაც აქციის დაშლას მოჰყვა, ნეგატიურ დატვირთვას ატარებს. ახლა ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა შეფასებას მისცემენ განვითარებულ მოვლენებს საერთაშორისო ორგანიზაციები, თავად ქართული საზოგადოება. ერთი რამ ხაზგასმით აღსანიშნავია – იმის გათვალისწინებით, თუ რისკენ მიისწრაფვოდნენ აქციის მონაწილეები, აქციების დასაწყისშივე ჩანდა, რომ, სამწუხაროდ, დასასრული სრულიად ლოგიკური იყო. დაგვარბიეთ ან დაუშვით ქვეყნის პრესტიჟზე სერიოზული დარტყმა, – ეს იქნებოდა პრორუსული ორგანიზაციებისთვის დამოუკიდებლობის აღსანიშნავი სამხედრო აღლუმის ჩაშლის დაშვება.

**თეა გოგოტიშვილი, ფსიქოლოგიის დოქტორი:** – ლიდერებმა შეგნებული პროვოკაცია მოაწყვეს და ხალხი ამ პროვოკაციის მსხვერპლი გახდა. მიტინგზე გამოსულმა ლიდერებმა კარგად იცოდნენ, რომ ხელისუფლების მხრიდან აქციის ძალისმიერი მეთოდით დაშლა მოსალოდნელი იყო და ხელისუფლების მხრიდან რომ ძალის გადამეტება მოხდებოდა, ამას დიდი სიბრძნე არ სჭირდებოდა.

როდესაც ლიდერი ან ლიდერთა ჯგუფი სათავეში უდგება ადამიანთა ჯგუფს, რაც უფრო დიდია ამ ადამიანთა ჯგუფი, მით უფრო მეტია ლიდერების პასუხისმგებლობა. ლიდერებმა მხოლოდ მათთვის სასიკეთო გამოსავალზე კი არ უნდა გააკეთონ ორიენტირი, არამედ მათ უნდა ჰქონდეთ კრიტიკული აზროვნების უნარი, რომ გამოსავლის ალტერნატიული ვარიანტი გაიაზრონ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ ევალებათ ყველანაირი რისკის განჭვრეტა, რადგან სხვა ადამიანების სიცოცხლეზე აგებენ პასუხს. ჩვენს უახლოეს წარსულში ძალიან მძიმე მსგავსი გამოცდილება დაგროვდა – 26 მაისის ღამე 9 აპრილისა და 7 ნოემბერის მსგავსი აღმოჩნდა.

საპროტესტო გამოსვლების ლიდერებმა აშკარად შეგნებულად დაამთხვიეს აქცია 26 მაისს. მათ განვითარებული მოვლენების პროვოცირება მოახდინეს. ძნელად დასაჯერებელია, რომ ისინი ამაზე არ ფიქრობდნენ; პირიქით, ყველამ კარგად იცოდა, რომ დაპირისპირება მოხდებოდა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ქუჩაში გამოსული ხალხი უპასუხისმგებლო ლიდერებმა ავანტიურაში ჩაითრიეს და დაუნდობელი ანგარიშსწორების მსხვერპლი გახადეს.

სამწუხაროდ, ამ ადამიანებს არ აღმოაჩნდათ ვითარების გაანალიზებისა და რისკის განჭვრეტის უნარი. ისინი გულუბრყვილოდ მიენდნენ ლიდერებს, რომელთაც გაცილებით მეტი მოეთხოვებათ და მომხდარზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ. რაც მოხდა, ასე შევაფასებდი: ლიდერებმა შეგნებული პროვოკაცია მოაწყვეს და ხალხი ამ პროვოკაციის მსხვერპლი გახდა. შეუძლებელია ლიდერებს არ სცოდნოდათ, თუ როგორ განვითარდებოდა პროცესები.

რა თქმა უნდა, დაპირისპირების თავიდან აცილება შეიძლებოდა. იყო აქციის გაცილებით მშვიდობიანად დაშლის შანსი. ერთი მხრივ, ხელისუფლებამ გამოიყენა არასანქცირებული მიტინგის დაშლის უფლება, მაგრამ ეს საკმაოდ დაუნდობლად გააკეთა; მეორე მხრივ, აქციის ორგანიზატორებმა კარგად იცოდნენ, რომ ხელისუფლების მხრიდან აქციის ძალისმიერი მეთოდით დარბევა მოსალოდნელი იყო, ვინაიდან ამ ხელისუფლების მართვის სტილს, მოვლენების მიმართ დამოკიდებულებას კარგად იცნობენ. ეს ხომ არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ხელისუფლების მხრიდან ძალის გადამეტება მოხდა?! ჩემი აზრით, ამის პროგნოზირებას დიდი სიბრძნე არ სჭირდებოდა.

ვიდრე ჩვენთან ისეთი მოვლენები ხდება, როგორც 26 მაისის ღამეს მოხდა, უნდა ვისაუბროთ იმაზეც, თუ რა უდევს საფუძვლად ამგვარი სცენარით განვითარებულ მოვლენებს. ჩემი აზრით, ჩვენი საზოგადოების ყველაზე დიდი პრობლემა კრიტიკული აზროვნების არქონაა. ცივილიზებულ ქვეყნებში კრიტიკულ აზროვნებას სკოლებში ასწავლიან. შეიძლება ითქვას, რომ აქციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს მოვლენათა განვითარების ძალიან ცალმხრივი და „გვირაბული ხედვა“ ჰქონდათ. მათ გულწრფელად სჯეროდათ იმის, რომ ის ხაზი, რომელსაც ისინი ატარებდნენ, თუნდაც ის პროვოკაცია, რომელზეც ისინი მთავრობას წამოაგებდნენ, გაწირავდნენ ხალხს, ღირდა გამარჯვების მოსაპოვებლად. ვინაიდან ეს ფინალი იყო მათთვის სასურველი, მას სრულიად არაადეკვატურად მოელოდნენ. სამწუხაროდ, არც ერთს ალტერნატიული ვარიანტი არ გაუაზრებია და არც გაუთვლია. იქმნება ძალიან სამწუხარო შთაბეჭდილება იმისა, რომ შეიძლება ეს ადამიანები ამ საკითხებზე ფიქრით თავს არც იწუხებენ. ასეთ დროს ადამიანები სამანიპულაციო ობიექტები ხდებიან.

ამ დროს, საქართველოში არსებობს სხვა, ცივილიზებული ცვლილებების ფორმებზე ორიენტირებული ოპოზიციური ფრთა, რომელიც ხალხს ასეთი რისკის ქვეშ არ აყენებს. მათ ესმით, რომ „სასურველის რეალობად გადაქცევა“ ილუზიაა და პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმეს. უზნეობაა, ისარგებლო ადამიანების ნდობითა და გულუბრყვილობით და უფსკრულისკენ გაუყენო გზას.

თუ ხალხი გამოდის და პროტესტს გამოხატავს, ეს პროტესტი მოტივირებული უნდა იყოს რეალისტური და კონსტრუქციული იდეით. მომხდარი მორიგი ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად, მიტინგები უნდა ყოფილიყო სანქცირებული, კოორდინირებული და ხელისუფლებისაგან საარჩევნო გარემოს შეცვლაზე მიმართული – ასეთ პროტესტს ვერავინ წინ ვერ აღუდგება.

**კობა ბენდელიანი**

ვანდალიზმი

# საპროტესტო აქციის დარბევის დროს სამართალდამცველები ჟურნალისტებს აკავებდნენ, სცემდნენ, ართმევდნენ ფოტო და ვიდეოკამერებს

**რუსთაველის გამზირზე 25 მაისს გვიან ღამით მიმდინარე საპროტესტო აქციის დარბევის დროს დაშავდნენ ჟურნალისტები. სამართალდამცველები მედიის წარმომადგენლებს აკავებდნენ, სცემდნენ, აგინებდნენ, ართმევდნენ ვიდეო და ფოტოკამერებს.**



დარბევა

მაგალითად, სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა სცემეს „ნეტგაზეთის“ ჟურნალისტი თამაზ კუპრეიშვილი.

**თამაზ კუპრეიშვილი:** „მე და „ნეტგაზეთის“ კიდევ ერთი ჟურნალისტი კოტე სტალინსკი, ჩვენთვის უცნობ ადამიანებთან ერთად ვიდექით პარლამენტის მიმდებარე მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან, როცა მომიტინგეთა მიმართულებით წყლის ჭავლი გაუშვეს, ამას მოჰყვა ცრემლსადენი ყუმბარების და რეზინის ტყვიების გასროლა. რეზინის ტყვიები ჩვენი მიმართულებითაც გაისროლეს. მეც მომხვდა. მე და კოტე ხელებაფარებულები მეტრო თავისუფლებისკენ გავემართეთ. ამ დროს წინიდან სპეცრაზმელები მოგვიახლოვდნენ. დავიწყეთ ყვირილი – პრესა! პრესა! ამის მიუხედავად, 15-მდე ნიღბიანმა ალყაში მოგვაქცია და რეზინის ხელკეტებით ცემა დაგვიწყეს. ვეუბნებოდი პოლიციელებს ჟურნალისტი ვარ, ნუ მცემ-თქო, მაგრამ ამან არ გაჭრა, მირტყამდნენ თავში და ფეხებში. ბოლოს ერთმა სპერაზმელმა გამომარიდა. კოტე სტალინსკი სადღაც დავკარგე.

საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი მალხაზ ჭკადუა დილმის პოლიციის განყოფილებაში იყო დაკავებული და მოგვიანებით გაათავისუფლეს.

როგორც ჟურნალისტმა აღნიშნა, მას და კიდევ ერთ ჟურნალისტს საათნახევრის განმავლობაში სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ.

მისივე ინფორმაციით, პოლიციის განყოფილებაში ბევრი ადამიანი ჰყავთ დაკავებული.

„ინტერპრესნიუსის“ ცნობით, მალხაზ ჭკადუა სპეცრაზმელებმა რუსთაველის გამზირზე აქციის დაშლის დროს დააკავეს. ჟურნალისტი სპეცრაზმელებს თაბუკაშვილის ქუჩაზე ძირს ჰყავდათ დაგდებული და არ უშვებდნენ. ჟურნალისტს პრესის წარმომადგენლის დამადასტურებელი ჟილეტიც ეცვა, თუმცა ამის მიუხედავად, სამართალდამცველებმა არ გაუშვეს და იმ დროისთვის დაუდგენელი მიმართულებით წაიყვანეს.

ამავე სააგენტოს კიდევ ერთ ჟურნალისტ დარეჯან პაატაშვილს კი სპეცრაზმელებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მას ვიდეოკამერა წაართვეს. ოპერატორს კი კამერა დაუმტვრიეს.

ცრემლსადენი გაზით მოიწამლა ნეტგაზეთის ჟურნალისტი ნინო კახიაშვილი, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს. თუმცა პირველადი დახმარების გაწევის შემდეგ, სახლში გაწერეს.

ნეტგაზეთის კიდევ ერთ ჟურნალისტს ნესტან ცეცხლაძეს ვიდეოკამერა წაართვეს.

ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და ფოტოკამერა წაართვეს „გურია ნიუსის“ ჟურნალისტს ნატო გოგელიას, რისი მომსწრეც Media.Ge გახდა.

„ვთხოვდი, კამერა დამიბრუნეთ-მეთქი, მაგრამ არ შეისმინეს“, უთხრა Media.Ge-ს ნატო გოგელიამ ინციდენტიდან რამდენიმე წუთში, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან.

ხელკეტით და წიხლით სცემეს ასევე Media.Ge-ს კორესპონდენტს, რომელიც აქციაზე ჟურნალისტების მუშაობის გასაშუქებლად წავიდა.

ინციდენტი ქაშუეთის ეკლესიასთან ჯორჯაძის ქუჩაზე მოხდა, როცა Media.Ge-ს სხვა ჟურნალისტის დაკავების ფაქტის ფოტოზე დაფიქსირებას ცდილობდა.

„რატომ იღებ, შენი დედა...“, მიაძახა ერთმა პოლიციელმა Media.Ge-ს კორესპონდენტს.

მას შემდეგ, რაც ჟურნალისტმა მოწმობა აჩვენა და უთხრა, რომ კორესპონდენტი იყო, იქვე მდგომმა მეორე პოლიციელმა მას თავსა და ზურგში ხელკეტი რამდენჯერმე ჩაარტყა. ამის შემდეგ უკან გაბრუნებულ ჟურნალისტს იგივე პოლიციელმა წიხლი უთავაზა.

ინციდენტის მიუხედავად, Media.Ge-მ იმის დანახვა შეძლო, თუ როგორ წაიყვანეს პოლიციელებმა რუსთაველის ქუჩის მიმართულებით ყვითელსაწვიმრიანი ოპერატორი, რომელიც გაფრთხილების მიუხედავად, ჯორჯაძის ქუჩაზე იმას იღებდა, როგორ აკავებდნენ და შემდეგ სცემდნენ სამართალდამცველები რუსთაველის ქუჩიდან წამოსულ მოქალაქეებს, მათ შორის ქალებს.

მანამდე, კინოთეატრ რუსთაველთან, Media.Ge იმის მომსწრე გახდა, როგორ აიძულებდნენ სპეცრაზმის თანამშრომლები ფოტოჟურნალისტებს ფოტოკამერებიდან ჩიპების ამოღებას და მათთვის გადაცემას, სპეცრაზმის თანამშრომლები ასევე აიძულებდნენ ოპერატორებს, კამერებიდან გადაღებული კასეტის ან ჩიპის ამოღებას.

გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტებმა დარბევისას მძიმე დაზიანებები მიიღეს. მედიაკავშირ „ობიექტივში“ აღნიშნულთან დაკავშირებით პრესკონფერენცია ჟურნალისტებმა ბექა სივსივაძემ, გიორგი მამაცაშვილმა და ჯაბა ხუბუამ გამართეს.

ბექა სივსივაძეს ზურგის არეში აღენიშნება რეზინის ტყვიებით მიყენებული მრავლობითი დაზიანებები, გიორგი მამაცაშვილი კი სპეცრაზმელების მიერ ხელკეტებით არის ნაცემი; მას გადაადგილება უჭირს.

ჟურნალისტები აცხადებენ, რომ ისინი ასრულებდნენ თავიანთ პროფესიულ მოვალეობას. სივსივაძის თქმით, როდესაც დარბევა დაიწყო, ისინი დაიძრნენ „თავისუფლების მოედნისკენ“, რომელიც სპეცრაზმის მიერ იყო გადაკეტილი.

„ჩვენ ვუთხარით მათ, რომ ვართ ჟურნალისტები, თუმცა მათ პირდაპირი მნიშვნელობით გაგვიხსნეს ცეცხლი“, – განაცხადა სივსივაძემ. მისივე თქმით, ისინი დააკავეს და ყვითელ ავტობუსებში ჩასვეს.

ჟურნალისტების თქმით, მოგვიანებით, ისინი ერთ-ერთი „სამთავრობო არხის“ ჟურნალისტმა იხსნა.

მომზადებულია **www.medua.ge**-სა და **www.palitratv.ge**-ს მიხედვით

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ბეჩავი საქართველო

**ადამიანები შოკირებული არიან 25 მაისის ღამეს მომხდარი დარბევით, თუმცა საზოგადოების აზრი მაინც ორადაა გაყოფილი. სურათის შესაქმნელად შევეცადეთ სოციალური ქსელიდან მკითხველისთვის რამდენიმე კომენატრი მიგვეწოდებინა. აი, რას ფიქრობს ხალხი მომხდარზე:**

„გამარჯვებული ქვეყანა თავისი მტერი ქვეყნის ტყვეებს გამარჯვების აღლუმზე რომ ჩამოატარებდა, ისე არ გააკეთეს ამათაც?! ოღონდ საკუთარი მოქალაქეებით. ე.ი. ჩვენ, ქართველები ვიყოფით მიშას მომხრეებად, ვისაც კანონი იცავს და ცოტა უფრო მეტიც, და მეორე ნაწილი – ვისაც ეს მთავრობა მტრად მიიჩნევს.“

„საქართველოს დამოუკიდებლობის დღის პატივისცემაზე მაღლა ვინმეს ამბიცია არ უნდა იდგეს!“

„ჩვენ აქ ვინც ვართ, ვართ კონცლაგერში - ჩვენ ჩვენსას ვაკეთებთ! გთხოვთ, ჩემო ემიგრანტო მეგობრებო, ხვალიდან დაგეგმეთ ერთიანი აქცია: იტალიაში, საბერძნეთში, ისრაელში, ინგლისში, ამერიკაში, საფრანგეთში, გერმანიაში... ხვალიდან დაიწყეთ ზრუნვა და ამ ქვეყნების მთავრობებთან ჩაატარეთ ერთჯერადი, ოღონდ ხალხმრავალი აქცია, თავისი ბანერებით! ვისაც რა შეგიძლიათ, ითავეთ, ჩვენ აქ მყოფნი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ვართ! ვიცი, თქვენც გიჭირთ, მაგრამ აქ 1937 წელი კარგა ხანია დაიწყო, უბრალოდ ახალგაზრდა კალიგულებსა და თანამედროვე კანიბალებს „მადა ჭამაში მოუვიდათ“! ქვეყნის სათავეში ნეობოლშევიზმისა და ფაშიზმის მახინჯი ჰიბრიდია. გააგებინეთ სამყაროს რა ხდება თანამედროვე ოსვენციმში!

„ესენი არიან ნეოკომკავშირელები... რამდენს დაგვიჭერენ?! რამდენს?! 21-ე საუკუნის ბართლომეს ღამე მოუწყვეს ქართველ ერს! უკვე მერამდენე! ენის ჩლექით საუბარი უნდა დამთავრდეს, სათქმელი უნდა ითქვას პირდაპირ!

არანაირი პატივი და მისალმება ზონდერებსა და სპეცნაზში შემავალ ქართველს, პოლიციელს, პატრულს, სასამართლოსა და პროკურატურის თანამშრომლებს, მოსყიდულ და სინდის-ნამუსზე ხელაღებულ რეჟიმის მონა ჟურნალისტებს, სულგაყიდულ პარლამენტარებს... დავაკისროთ მათ მორალური პასუხისმგებლობა! არანაირი დახმარება მათ! ჩვენივე გადასახადებით გამაძღარნი ჩვენვე გვკლავენ, ულტრათანამედროვე ჯიპებზე ამხედრებულნი...

„ერთადერთი შედეგი, რაც ამ მსხვერპლმა მოიტანა, სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვა და ზოგიერთების მიერ პოლიტიკური ქულების დაგროვებაა (ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ჰგონიათ).“

„დარბევის დროს თურმე ფილმს უჩვენებდნენ რუსთაველში...“

„ეს იყო ჩაძაღლების ოპერაცია. სპეცრაზმმა აქციის მონაწილეებს გასასვლელი არ დაუტოვა. სპეცრაზმელები ზომბირებული იყვნენ. არ ვიცი, მათზე რა ფსიქოლოგიური ზეწოლა მიდის, მაგრამ ფაქტია, რომ მათ რუსთაველზე სასაკლაო მოაწყვეს...“ (ლევან გაჩეჩილაძე).

„ეს მიტინგი თავიდანვე არ იყო სწორი და ყველგან ვამბობდი ამას. ეს მიტინგი ემსახურებოდა მიშას გაძლიერებას და ხალხში ნიჰილიზმისა და უიმედობის დანერგვას, მაგრამ ამ ფორმით მიტინგის დაშლა და ასე სასტიკად საკუთარი ხალხისადმი მოპყრობა დაუშვებელია თავის ხალხზე პასუხისმგებლობის მგრძნობი ხელისუფლების მხრიდან...“

„სანამ ჯონ ბასს, გუშინდელ განცხადებაზე პასუხს არ მოვთხოვთ, მანამდე თავს ლაღად იგრძნობენ...“

„სისხლიანი პრეზიდენტი!..“

„მოვითხოვ ნინა ედუარდოვნას დაპატიმრებას! და უზურპატორ მიშა ედუარდოვიჩის გადადგომას! ვიგინდარების და თაღლითების დრო წავიდა და თავგანწირულ პოლიტიკოსთა ხანა დადგა. ამიტომ ქართულ პოლიტიკაში ახალი სისხლი უნდა შევუშვათ, ახალი სახეები მოვიდნენ“.

„ასეთი სისატიკე არ იყო საჭირო, მაგრამ ახლა ეს ხალხი რომ მოღალატეების მხარეს იცავდნენ, არ უნდა ბევრი ლაპარაკი. ბურჯანაძის გვერდით დგომა რუსეთის გვერდით დგომაა და ამ არეულობის მოწყობა ჰქონდა მიზნად ძალბატონს. მიაღწია კიდეც. რუსული მედია წერს, რომ 9 აპრილზე სასტიკი რბევა ყოფილა თურმე. დარბევა რომ დაიწყო, რატომ გაიპარა მიტინგიდან და მიუყარა ხალხი სპეცრაზმს, თან გზაში კიდევ ადამიანი მოკლეს მანქანით. რა ბეჩავია საქართველო ამათ ხელში, ორივე მხარეს ვგულისხმობ...“

„საბერძნეთში ყოველდღე აქციებია და თითქმის ყოველ კვირა ცრემლსადენი გაზის სუნი დგას ათენის ქუჩებში, მაგრამ როცა სახელმწიფო პოლიციას ხელკეტებით ებრძვი და მის მანქანებს ამტვრევ, ჭკუა უნდა ისწავლო, თუ არა და, გასწავლიან. ესაა სახელმწიფოს ფუნქცია. მეორე თემაა, რატომ გცემენ იმაზე მეტად, ვიდრე ეს შეიძლება. ძალიან რომ მოგვჭრა თავი ბურჯანაძის უაზრო რადიკალურობამ და პროვოკაციულობამ, ესაა სამწუხარო, მაგრამ ერთი ცხადია - მან სახელმწიფო გამოიწვია...“

„აქცია უნდა დაეშალათ თუ აუცილებელი იყო, მაგრამ არა ისეთი ცხოველური მეთოდებით, როგორც ეს გააკეთეს...“

„ბართლომეს ღამე ქართულად სააკაშვილის და მერაბიშვილის შესრულებით. მეთოდები დახვეწილია – რეზინის ტყვიები და გაზი უკვე ლეგიტიმურია, რაც უკანონო იყო 7 ნოემბერს... მრცხვენია, თუ ასეთ ხელისუფლებას ვიმსახურებ...“

„მეც ძალიან ცუდად ვარ. ძალიან ბევრი სისასტიკე ვნახე იქ. ვიყავი ჩემს ჟურნალისტებთან ერთად... ასეთი სისასტიკე ფილმებშიც კი არ მინახავს...“(ირაკლი მანაგაძე.

„მე მრცხვენია ფეისბუქელი „ინტელიგენციის“ გამო... ვინც დარბევის დროს პოსტავდა, რომ სპეცნაზის სადღეგრძელოს სვავდა. ვინც ამ ძალოვნებს მოუწოდებდა, რომ მიწასთან გაესწორებინა აქცია... მე უკვე ყველაფრის მრცხვენია...“

„ჩემს ფეისბუქელ მეგობრებს მოგმართავთ! თუ ვინმე ამართლებს ხელისუფლების გადაწყვეტილებას აქციის სისასტიკით დაშლასთან მიმართებაში, ძალიან გთხოვთ, წამშალეთ...“

„ვამაყობ ჩემი ქვეყნის შინაგან საქმეთა ჯარების განსაკუთრებული სისასტიკით. ბიჭებმა იმ ღამეს ჩვეული სიმამაცით ასახელეს თავიანთი გამჩენი, გამზრდელი და დამსაქმებელი. ალბათ მათი ბედნიერი მშობლები ცისფერ ეკრანებთან ტკბებოდნენ, თუ როგორ იცავენ მათი ლეკვები მსოფლიო მასშტაბის დემოკრატიის შუქურის უსაფრთხოებას პირსისხლიანი მომიტინგეებისაგან.

„26 მაისი – ხალხზე გამარჯვებული მთავრობა და სისხლით მორწყული თავისუფლების მოედანი!“..

„ღმერთო გვიშველე.შენ დასაჯე მკვლელები! ღმერთმა გაანათლოს დაღუპულების სულები. ხალხი დატოვეს და თვითონ მირბოდნენ პატრიოტი ლიდერები.“

„ღმერთო, დაიფარე ხალხი. იმედია, რომ ეს საქმე გამოუძიებელი არ დარჩება და სასამართლო გაასამართლებს დამნაშავეებს. იმ განცხადების მერე, რაც ბურჯანაძემ გააკეთა, აღლუმს არ ჩავატარებინებთო, მისთვის უკვე ბრალდება უნდა წაეყენებინათ. ასე იქნებოდა ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში, სადაც კანონის პატივისცემა არსებობს. ამზადებდა ამ ყველაფერს აშკარად, სახალხოდ, ყველას თვალწინ. ამპარტავნებამ და ძალაუფლების სიყვარულმა გონება დაუბნელა. შეიძლება ახლაც ვერ ხვდება, რომ რევოლუციონერი კი არ არის, უკანონობის ჩამდენია. ხანდახან მგონია, რომ სხვები აქეზებდნენ და იყენებდნენ ამ ქალს, არა მგონია, გულის სიღრმეში მაინც არ სცოდნოდა, რომ ხალხს საფრთხეს უმზადებდა“.

„დარწმუნებული ვარ, მრავალმა თქვენგანმა იხილა ჯერაც სისხლშეუმშრალ რუსთაველზე ამაყად გაჭიმული ტარიელ ჭანტურია საპრეზიდენტო, ბწყინვალების ორდენით ხელში!

ახლა რას იტყვით, ძვირფასო პოეტებო და პოეზიის მოყვარულებო?“

„თუ ხელისუფლებას ჰქონდა ბურჯანაძის და მისი შვილის ის ჩანაწერი, რაც გამოაქვეყნა, რატომ ინახავდა დარბევამდე? ეს ბადებს ეჭვს და ხელისუფლებიდან იქნებ ვინმემ გასცეს პასუხი...“

„ისევ ის დრო მერჩივნა: უშუქობა,სიცივე, პურის რიგი და დაუგებელი გზები.... ამ უსუსურობას ყველაფერი სჯობს! უფრო მეტი სითბო არ იყო მაშინ, ურთიერთგატანა? რა დაგვემართა ასეთი? ედუარდის დროც მერჩივნა!“

„ნუ იფიქრებ, რომ გაიმარჯვე, დიქტატორმა ყველა ერთად დაგვამარცხა, სამარცხვინოა, რომ სააკაშვილს არც ერთმა პირმა უკან არ მიუბრუნა ჯილდო, არც ერთ საზოგადოებაში ასეთი პირები პატივისცემას არ იმსახურებენ, ასე იქნება ჩვენთანაც, შეიძლება ერთი დღის დაგვიანებით, მაგრამ დღევანდელი საჩუქრის მიღებას მწარედ ინანებენ ფეტვიაშვილიც და ჭანტურიაც...“

„ხალხი დაღლილი და შეურაცხყოფილია... მოტყუებული და გადაგდებული... მაგრამ ეს ხალხი მართალია, განსხვავებით პოლიტლიდერებისაგან...“(ირმა ინაშვილიძ.

„გამთენიისას თბილისი ისეთი ჩანდა, თითქოს იმ ღამეს არაფერიც არ მომხდარიყოს...“

**ნატა ნიბლაძე.**

# გამთენიისას თბილისი ისეთი ჩანდა, თითქოს იმ ღამეს არაფერიც არ მომხდარიყოს...

## დარბევის ექო

# სახელმწიფო, რომელიც ადამიანის უფლებებს ფეხქვეშ თელავს

(მეორე გვერდიდან) ადვოკატებს არ ეძლევათ შესაძლებლობა მოინახულონ მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირებიც. **„მოვუწოდებთ შს სამინისტროს, გამოაქვეყნოს 26 მაისს პარლამენტის შენობის წინ გამართული საპროტესტო აქციის დაშლის პროცესში დაკავებული პირების სია, რათა მოგვეცეს შესაძლებლობა, სამართლებრივი დახმარება აღმოვუჩინოთ აღნიშნულ პირებს. ასევე მოვითხოვთ, სამართალდამცავმა ორგანოებმა დაადგინონ იმ პირების ადგილსამყოფელი, რომელთა შესახებ ინფორმაცია არ არსებობს!“,** – აცხადებს საიას თავმჯდომარე.

უფლებადამცველები შეშფოთებულები არიან იმ ვითარებით, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმეების განხილვისას ხდებოდა. ჩუგოშვილი ამბობს, რომ თითქმის ყველა დაკავებულს ფიზიკური დაზიანებები აღენიშნებოდა, იყვნენ ნაცემები. მოსამართლეების მხრიდან, როგორც წესი, ეს ფაქტი რეაგირების გარეშე რჩებოდა და სულაც არ ინტერესდებოდნენ, თუ რა ვითარებაში მიიღეს დაზიანებები. ერთადერთი მტკიცებულება, რასაც სასამართლო ეყრდნობოდა, პოლიციის თანამშრომელთა ახსნა-განმარტება იყო და არ კითხულობდნენ, კონკრეტულად რაში გამოიხატა დაკავებულის მხრიდან პოლიციის მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა. სამართალდარღვევის ოქმები აბსოლუტურად იდენტური იყო, მხოლოდ დაკავებული პირების საიდენტიფიკაციო მონაცემების ნაწილში განსხვავდებოდა. თუკი დაკავებული დანაშაულს აღიარებდა, აჯარიმებდნენ, ვინც არ აღიარებდა – აკავებდნენ. ჩუგოშვილის ინფორმაციით, ძალიან ბევრმა უარი განაცხადა ადვოკატის დახმარებაზე, იმის მიუხედავად, რომ მათ ფიზიკური დაზიანებები აღენიშნებოდათ. ამ ფაქტს იმით ხსნიან, რომ სამართალდამცავები აფრთხილებდნენ, თუკი ადვოკატს აიყვანთ, აუცილებლად დაგაპატიმრებთო. ამის გამო ბევრმა ჯარიმის გადახდა არჩია.

**საია მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საჯარო გახადოს ყველა ვიდეო ჩანაწერი, რომელსაც სამინისტროს წარმომადგენლები აწარმოებდნენ აქციის დაშლის პროცესში. იურისტებს ბევრი კითხვის ნიშანი აქვთ გარდაცვლილ ორ პირთან დაკავშირებით. ვიდეოჩანაწერები საშუალებას მისცემს ადეკვატურად შეფასდეს როგორც აქციის მონაწილეთა, ასევე სამართალდამცავთა მხრიდან განხორციელებული ქმედებები. თუმცა არც იმას გამორიცხავენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დამონტაჟებული მასალა მიაწოდოს.**



თამარ ჩუგოშვილი გამოეხმაურა საკუთარ კომენტარს, რომელიც მან ჯერ კიდევ აქციის დარბევამდე გააკეთა, როცა აღნიშნა, რომ ვინაიდან აქციის სანქციის ვადა 25 მაისის ღამის 12 საათზე იწურებოდა, ხელისუფლებას მიტინგის დარბევის უფლება ჰქონდა. მისი თქმით, როგორც პროფესიული და ამავე დროს ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაცია, საია ვალდებული იყო, მოქალაქეებისთვის ზუსტი ინფორმაცია მიეწოდებინა საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ, რათა მათ ჰქონოდათ ინფორმაციული არჩევანის შესაძლებლობა და სცოდნოდათ იმ საფრთხეების შესახებ, რაც მათ შეიძლება დამუქრებოდა.

სანქცირებული იყო თუ არა მიტინგი, ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმალური საფუძველი არ ამართლებს სამართალდამცავთა მიერ აქციის შესაწყვეტად გამოყენებულ სასტიკ ქმედებას, მათ აშკარად გადაამეტეს ძალას, – ამტკიცებს საიას თავმჯდომარე.

**აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ არშემდგარ სახელმწიფოში, სადაც რეჟიმი მძლავრობს, ხოლო ადამიანის უფლებები ფეხქვეშ ითელება. ან შევეგუებით ამ ყველაფერს, ან კვალავ გავაგრძელებთ ბრძოლას.**

**თეა მოსია**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

SIC!

# გიორგი მამულია: „დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება შიდა სტაბილურობას და მისდამი მოსახლეობის სრულ მხარდაჭერას ავტომატურად უზრუნველყოფს“



*გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში, ისტორიკოსი გიორგი მამულია*

**— ბატონო გიორგი, 2011 წლის 26 მაისი საქართველოსთვის რთული აღმოჩნდა. აღლუმს „სახალხო კრების“ მხარდამჭერების დაშლა უძღოდა წინ. განვითარებული მოვლენების შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა. რამდენიმე ათეული დაშავებული კვლავ საავადმყოფოებში რჩება. როგორ შეაფასებთ გასულ ღამეს?**

— 26 მაისის წინა ღამეს განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობა მთლიანად „სახალხო კრების“ ლიდერებსა და პირადად ქალბატონ ბურჯანაძეს ეკისრებათ, რადგან მომიტინგეების ძალოვანებთან დაპირისპირების პროვოცირება უშუალოდ მის ინტერესებში შედიოდა. ფაქტობრივად, ის ლენინურ-ბოლშევიკური მეთოდებით, ცნობილი ფორმულით „ხელისუფლების ხელში ჩაგდებისთვის ყველა მეთოდია მისაღები, საკუთარი ქვეყნის მტერთან პირდაპირი თანამშრომლობისა და სამოქალაქო ომის გაჩაღების ჩათვლით“ მოქმედებდა. გარდა ამისა, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით ის უშუალოდ დაინტერესებული იყო სისხლისღვრის პროვოცირებით, რადგან ჰქონდა ილუზია, რომ ამ გზით ბოლო ორი წლის განმავლობაში უცხოეთში მოძლიერებული საქართველოს პოზიციების დასუსტებას შეძლებდა. მე საგანგებოდ ვთქვი „საქართველოს“ და არა მთავრობის, რადგან ბურჯანაძის და მოყვასთა მისთა მოქმედება სწორედ საქართველოს და მისი ხალხის წინააღმდეგ არის მიმართული.

**— აქციის არაერთი ორგანიზატორი და რიგითი მონაწილე დარბევას დიდწილად ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის საქართველოში ჯონ ბასის განცხადებას უკავშირებს, რომლის თანახმად, „ნებისმიერი დემოკრატიულად განწყობილი საზოგადოების ვალდებულებაა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება დაიცვას, თუმცა ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ საპროტესტო მოქმედებებით სხვა მოქალაქეების უფლებები არ შეილახოს, მათ საქმიანობაში, გადაადგილებასა და თუნდაც გარკვეული მნიშვნელოვანი დღეების სათანადოდ აღნიშვნაში ხელი არ შეეშალოთ“. თქვენი აზრით, როგორ შეიძლებოდა, შეფასებულიყო ელჩის ეს განცხადება?**

— როგორც ყოფილმა დიპლომატმა, ცალსახად შემიძლია, გითხრათ, რომ ელჩის ამგვარი პოზიცია სრულ შესაბამისობაშია დემოკრატიული ქვეყნების ტრადიციულ დიპლომატიურ პრაქტიკასთან, რომლის მიხედვით, ოპოზიციას, რა თქმა უნდა, სრული უფლება აქვს, შეკრებებსა და მანიფესტაციებზე საკუთარი შეხედულებები გამოხატოს, მაგრამ ეს დემოკრატიული ნორმების ფარგლებში და, რაც მთავარია, მშვიდობიანი ფორმით და არა სხვა მოქალაქეთა უფლებების შებღალვის ხარჯზე უნდა ხორციელდებოდეს. განა პლასტმასის ჯოხები და „მოლოტოვის კოქტეილები“ შეიძლება, პოლიტიკური ბრძოლის მშვიდობიან საშუალებებად ჩაითვალოს?!

**— პოლიტიკოსებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი აქციის დაშლამდე ხელისუფლებას აღლუმის სხვა ტერიტორიაზე გადატანას ურჩევდა და აცხადებდა, რომ ამ ნაბიჯით მმართველი გუნდი წინდახედულობას გამოიჩენდა. როგორ ფიქრობთ, რატომ არ წავიდა ხელისუფლება ამ ნაბიჯზე?**

— თუკი ხელისუფლების რაიმე შეცდომაზე შეიძლება საუბარი, მე ამას უფრო იმაში ვხედავ, რომ თავიდანვე არ დაშალა მანიფესტაცია ტელევიზიის შენობასთან. მაშინ ცხადი გახდა, რომ ოპოზიციონერები ხელკეტებითა და „მოლოტოვის კოქტეილებით“ არიან შეიარაღებულები, რაც მიტინგის მშვიდობიან ხასიათს ცალსახად გამორიცხავდა. ჩემი აზრით, მომავალში ნებისმიერი მიტინგი უნდა აღიკვეთოს, თუკი აშკარაა, რომ მისი მონაწილეები ამგვარი ცალსახად არამშვიდობიანი საშუალებებით არიან შეიარაღებულები.

**— ოპოზიციური პარტიების ნაწილი გუშინ აქციის მონაწილეთა დარბევის ფაქტს გმობს და ხელისუფლებას ძალადობის შეწყვეტისკენ მოუწოდებს. თავად ნინო ბურჯანაძე გუშინდელ მოვლენებს მკაცრად აფასებს და აცხადებს, რომ „თავის დროზე როდიონოვს არ გაუკეთებია მსგავსი რამ“. მას იმედი აქვს, რომ საერთაშორისო საზოგადოება „სწორ დასკვნებს გააკეთებს და ისედაც იმიჯშელახული პრეზიდენტი მკაცრ შეფასებას მიიღებს“. თქვენი აზრით, როგორ გამოეხმაურება საქართველოში შექმნილ ვითარებას საერთაშორისო საზოგადოება?**

— მე ყურადღებით ვადევნებ თვალს უცხოურ პრესას. შემიძლია, დაბეჯითებით გითხრათ, რომ რაიმე უარყოფითი რეაქცია და საერთოდ ყურადღება ოპოზიციის ბოლო დღეების გამოსვლებზე უცხოურ მედიაში არ შეინიშნება. პირიქით, საქართველოს იმიჯი დასავლურ მედიაში ბოლო ორი წლის განმავლობაში მკვეთრად გაუმჯობესდა, განსაკუთრებით - იმ დესტაბილიზაციასთან შედარების ფონზე, რომელმაც ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები მოიცვა. ბურჯანაძე კი, სამწუხაროდ, ქართველი ერისთვის საზიანო საკუთარი ამბიციებიდან გამომდინარე, თავად იქცა იმ ქვეყნის იარაღად, რომლის წარმომადგენელიც გენერალი რადიონოვი იყო.

**— და ბოლოს, აქცია დაშალეს, მაგრამ პრობლემა შესაძლოა, კვლავ შეიქმნას. რაში ხედავთ შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს?**

— საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ კანონის უზენაესობა და ისეთი დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, რომლებიც ავტომატურ რეჟიმში უზრუნველყოფენ როგორც ქვეყნის შიდა სტაბილურობას, ისე ამ სტაბილურობისადმი მოსახლეობის სრულ მხარდაჭერას. ასეთ შემთხვევაში პოლიცია თავიდანვეა ვალდებული, დაშალოს მიტინგი, რომლის მონაწილეებიც ოპონენტებს ხელკეტებითა და „მოლოტოვის კოქტეილებით“ უპირისპირდებიან.

„პირველი“

ერთი ადამიანის თეატრი

# უცხოური მედია თბილისში განვითარებულ მოვლენებს აქტიურად მიმოიხილავს

**უცხოური მედია თბილისში განვითარებულ მოვლენებს აქტიურად მიმოიხილავს.** მასალებს ForeignPress.ge აქვეყნებს. აღწერილია როგორც 26 მაისის ღამის მოვლენების დეტალები, ისე შედეგები და გაანალიზებულია საქართველოს ბოლო 20 წლის ისტორია.

**Wall Street Journal** წერს, რომ საქართველოს პოლიციამ თბილისში ანტისამთავრობო დემონსტრაციის დაშლისას წყლის ჭავლი, ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოიყენა. აქვე მოყვანილია პოლიციის მონაცემები იმის თაობაზე, რომ შეტაკების დროს ორი ადამიანი დაიღუპა და 37 დაშავდა. გამოცემა აღნიშნავს, რომ „ხუთშაბათის შეტაკება 2007 წელს სააკაშვილის მხრიდან გაცილებით დიდი საპროტესტო აქციის დარბევის გამოძახილი გახლდათ, რომელმაც დაანგრია, მისი როგორც პროდასავლელი რეფორმატორის რეპუტაცია“. აქვე ნათქვამია, რომ ანალიტიკოსების აზრით, 43 წლის პრეზიდენტის დამხობის შესაძლებლობა საეჭვოა, რადგან ქართველთა უმრავლესობა პოლიტიკური აურზაურისგან დაღლილია.

გამოცემა **Der Standart** კი წერს, რომ „დასავლეთზე ორიენტირებული საქართველო ერთი ადამიანის თეატრად რჩება, რაც ქვეყნისთვის ტრაგედიაა“. გამოცემა აღნიშნავს, რომ საქართველოს ფატალური მიდრეკილება აქვს დრამატულობისა და უკომპრომისობისადმი.

„რამდენიმე წლის წინათ ცხადი არ იყო, რომ „ვარდების რევოლუციის“ ლიდერი სააკაშვილი ავტორიტარულ მეთოდებს მიმართავდა და ქუჩაში დემონსტრაციებს ძალით ჩაახშობდა. 2008 წლის ხანმოკლე ომმა რუსეთთან ქართველები კვლავ დააახლოვა ერთმანეთთან. საქართველო დასავლეთზე ორიენტირებული ქვეყანაა, მაგრამ ის კვლავ ერთი ადამიანის თეატრად რჩება, რაც ქვეყნისთვის ტრაგედიაა“, – წერს გამოცემა.

**Telegraph**-ს რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებთან ერთად რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან მომხდარი ფაქტიც მოჰყავს, სადაც „ბურჯანაძე ნილბიან პოლიციელთან ჩხუბში აღმოჩნდა ჩართული“. გამოცემა აღნიშნავს, რომ მანიფესტანტები საქართველოში იგივე წარმატების მიღწევას იმედოვნებდნენ, რაც ეგვიპტესა და ტუნისში დაფიქსირდა.

**Le Figaro** მომხდარის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები მოჰყავს და აღნიშნავს, რომ საპროტესტო აქციის მონაწილეები სააკაშვილს ავტორიტარიზმში ადანაშაულებენ.

„პროდასავლელი სააკაშვილი, ხელისუფლებაში 2003 წელს მშვიდობიანი „ვარდების რევოლუციით“ მოვიდა. მის რეჟიმს ოპოზიცია რეალურ პრობლემებს ვერასდროს უქმნიდა, მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიცია ამას რამდენჯერმე შეეცადა, განსაკუთრებით საქართველოს მარცხის გამო 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთთან“, – აღნიშნავს **Le Figaro**.

**Die Welt** წერს, რომ „კავკასიურ რესპუბლიკა საქართველოში საქმე ოპოზიციას და სპეცდანიშნულების რაზმებს შორის სისხლიან შეტაკებამდე მივიდა“. **Die Ziet** კი აღნიშავს, რომ საქართველოში პოლიციამ ნიღბიან დემონსტრანტებს ჯავშანტექნიკით შეუტია და ანტისამთავრობო აქციის დაშლა ძალადობით დასრულდა.

თბილისში განვითარებულ მოვლენებს ასევე ეხმაურება **The New York Times**. გამოცემა აღნიშნავს, რომ ოპოზიციური პროტესტი თბილისში ღამით სპეციალური დანიშნულების პოლიციამ ძალის გამოყენებით შეწყვიტა და უმთავრესად ფაქტების მოყვანით შემოიფარგლება. ასევე ფაქტების შესახებ ინფორმაცია მოჰყავს „ფრანს პრესს“.

**ინტერპრესი.**




ბრიფინგი

**პოლიტიკურმა პარტიამ „მთლიანი საქართველო“ 25 მაისის ღამით მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევაზე სპეციალური ბრიფინგი გამართა. ცნობილი გახდა პარტიის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ლევან ჭანიას ფიზიკური ანგარიშსწორებისა და დაპატიმრების ფაქტი, იმ მოტივით, რომ „ის იქ არ იდგა, სადაც და ვისთანაც უნდა მდგარიყო“.**



# ხელისუფლებამ წინასწარ დაუშვა სასტიკი ანგარიშგება...

## რას ზეიმობდა 26 მაისს მიხეილ სააკაშვილი?!

იგი მხოლოდ დღის 10 საათზე გაათავისუფლეს. მანამდე მოდულის შენობაში, შემდეგ კი სამმართველოში გადაიყვანეს. მისი თქმით, ძალიან ცინიკურად ეპყრობოდნენ და ოჯახთან დაკავშირების უფლება არ მისცეს.

**„ყველა მხრიდან წნეხში მოგვაქციეს. გაქცევის საშუალება არ მოგვცეს. ქაშვეთის ეკლესიის ეზოდან ქვემოთ, ბაღისკენ დავეშვით, როცა ჩასაფრებული სპეცრაზმი უმოწყალოდ გაგვისწორდა“,** — განაცხადა დაზარალებულმა.

პარტია, ასევე ეძებს ერთ-ერთ აქტიურ მხარდამჭერს რამინ აბულაძეს, რომლის ადგილსამყოფელი მათთვის ამ დრომდე უცნობია.

პარტიის გენერალური მდივანი ჯემალ შელია მომხდარზე მთელ პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს. მან მთავრობა კონსტიტუციით აზრის გამოხატვის თავისუფლების დარღვევაში ამხილა, დაადანაშაულა მიზანმიმართულ დევნაში, დაშინებასა და მომხდარ ტრაგედიაში. **„მმართველ ძალას შეეძლო დაპირისპირების არიდება — შუამავალი, ავტორიტეტული პირი მიეგზავნა მომიტინგეთათვის და დაშლა ეთხოვა, მაგრამ ხელისუფლებამ წინასწარ დაუშვა სისხლიანი ანგარიშსწორება, როცა გამოაცხადა კანონი: „მე ვარ — დაიშალეთ ან გცემეთო“... და თითქოს 10 წუთში მობილიზებული სპეცრაზმი შეუსია მომიტინგეებს“,** — განაცხადა ჯემალ შელიამ. მან 26 მაისს გამართულ აღლუმს ამორალური, უზნეო და საკუთარ ხალხზე გამარჯვების ზეიმი, ხოლო გამოქვეყნებულ ბურჯანაძე-ბიწაძის სატელეფონო საუბარს საზოგადოების თვალში ავტორიტეტის შემლახველი უწოდა, რადგან სასამართლო მას როგორც უკვე გამოქვეყნებულ მასალას, მტკიცებულებად ვერ გამოიყენებს.

„მთლიანმა საქართველომ“ დაგმო მანიფესტაციების დარბევის ფაქტი და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, უფლებადამცველ ორგანიზაციებს მოუწოდა ობიექტურად შეაფასონ ვითარება.

**გულნაზ გახარია**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

შეფასება

# სოლიდარობა და არა „სოლიდარობა“

## დაიწყება თუ არა ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა?

**27 მაისს პარლამენტის წინ, იქ, სადაც წინა ღამეს „კვლავ გადარეცხეს სისხლი ქვაფენილს“, გაიმართა ირინე სარიშვილის პრესკონფერენცია, რომლის მთავარი თემა ამ სისხლიანი ტრაგედიის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი (თუ უმთავრესი არა — ავტ.) აშშ-ს ელჩის მიერ გაკეთებული განცხადება გახლდათ.**



ქალბატონმა ირინემ ჯერ პოლიტიკურად შეაფასა მომხდარი და მას საქართველოს უახლეს ისტორიაში აქამდე არნახული ვანდალიზმი, სისასტიკე და სხვა მსგავსი ეპითეტები უძღვნა.

მან იქვე ერთიც დასძინა ხაზგასმით — **მიუღებელია ის, რომ ოპოზიციის აბსოლუტური უმრავლესობა მომხდარში მხოლოდ ნინო ბურჯანაძეს ადანაშაულებს და თუ ხელისუფლებას აკრიტიკებს, მხოლოდ ისეთი ფრაზების თანხლებით, როგორებიცაა — „შეიძლება იყო საფუძველი აქციის დაშლის, მაგრამ არა ასეთი მეთოდებით“, ან „ხელისუფლებამ ძალას გადაამეტა“... და კიდევ უარესიც, თუ სააკაშვილს სდებენ ბრალს, იქვე აქციის ორგანიზატორების დასჯასაც მოითხოვენ.**

ქალბატონ ირინეს აზრით, ამჟამინდელი შედეგებისთვის პასუხისმგებლობის გადანაწილება ხელისუფლებას და აქციის ორგანიზატორებს შორის არ შეიძლება. **სწორედ ეს არის ის, რაც სააკაშვილს უნდა, რადგან მხოლოდ სააკაშვილი და მისი სისხლიანი რეჟიმია მომხდარში ერთადერთი და მთავარი დამნაშავე.**

თუმცა არა, შემდეგ, ჯონ ბასის გაუგონარი განცხადების კომენტირების მერე, გამოდის, რომ აშშ-ს ელჩიც დამნაშავეა სისხლიან ტრაგედიაში სულ მცირე სააკაშვილისთვის მწვანე შუქის ანთების გამო.

ირინა სარიშვილმა იქვე გაიხსენა საბჭოეთის დროის ცეკას მეორე მდივნები საქართველოში და ეს შედარება ნამდვილად არ იყო ჯონ ბასის სასარგებლოდ.

მართლაც არ შეიძლება არ დაეთანხმო ამაში ირინე სარიშვილს — ამერიკის ელჩების მაილსიდან დაწყებული ჯონ ბასით დამთავრებული, უცერემონიოდ, ღიად ერევიან საქართველოს საშინაო საქმეებში. **ამასვე აკეთებდნენ ცეკას მეორე მდივნებიც, მაგრამ არა ასე აშკარად!**

— ვინმეს გახსოვთ ვიქტორ ჩურკინის ან გენადი კოლბინის სახეები? — დასვა რიტორიკული კითხვა სარიშვილმა და დასძინა, სამაგიეროდ დღე არ გავა, რომ ჯონ ბასის სასიამოვნო ბლანჟე არ ვიხილოთო. არავის, არც რუსის და არც ამერიკელის, საქმე არ არის, სად, როდის და რატომ უნდა ვიზეიმოთ ან არ ვიზეიმოთ დამოუკიდებლობის თუ სხვა ეროვნული დღესასწაულები.

**ჩემს ექსკლუზიურ კითხვაზე — ინაწილებენ თუ არა პასუხისმგებლობას მომხდარზე ის ოპოზიციური ლიდერები, რომლებიც იმ დღეებში და იმ ღამეს ბუჩქებში ისხდნენ, არ მივიდნენ ხალხთან** (და არა ნინო ბურჯანაძესთან) **და ახლა, უკეთეს შემთხვევაში, „ლაითად“ აკრიტიკებენ ხელისუფლებას** (და არამც და არამც ჯონ ბასის განცხადებას), ქალბატონმა ირინამ ბრძანა:

— დიახ, აბსოლუტურად ყველა ოპოზიციონერია პასუხისმგებელი მომხდარისთვის და ჩემთვის გაუგებარია (იქნებ ძალიან კარგადაც გასაგებია — **ავტ.**), რატომ სდუმან ე. წ. რვიანის წევრები ჯონ ბასის ამ განცხადების გამო.

დასასრულ ქალბატონმა ირინემ თქვა, რომ, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საჭიროა თვისებრივად ახალი, ამჟამინდელი რეალობების გათვალისწინებით შექმნილი „სოლიდარობის“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყება, რასაც არანაირი ანალოგია არ ექნება, გარდა სახელწოდებისა, პოლონეთის „სოლიდარობასთან“. უბრალოდ, სწორედ სოლიდარობაა ის, რას ასე აკლიათ როგორც პოლიტიკურ სპექტრს, ისე ზოგადად საზოგადოებასაცო.

— ამ მოძრაობას დავიწყებთ ჩვენ, ნამდვილი ეროვნულ-დემოკრატები, — განაცხადა ქალბატონმა ირინემ, რომელიც გასული საუკუნის ეროვნული მოძრაობის სათავეებთან იდგა მაშინ მართლაც უძლიერეს „ედპ“-სთან ერთად...

**ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ირინე სარიშვილთან უთუოდ ვისაუბრებთ ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში.**

**დავით მხეიძე**

სინამდვილე კი ასეთია

# ქუთაისის „მეორე დედაქალაქად“ გამოცხადების ნამდვილი მოტივაცია

მიხეილ სააკაშვილმა კარგად იცის თბილისის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მწვავე კრიტიკული პოზიცია მისი ანტიდემოკრატიული და ანტისახელმწიფოებრივი კურსის მიმართ; ამიტომაც ცდილობს, პოლიტიკური და სამართლებრივი მეთოდებით გაამყაროს საკუთარი სახელისუფლებო ძალაუფლება — მთელი რიგი მისი კონსტიტუციური და საკანონმდებლო ინიციატივებისა მიმართულია თბილისის, როგორც ქვეყნის პოლიტიკური ცენტრისა და თბილისელთა კრიტიკული განწყობილებების განეიტრალებისაკენ. ამჟამად სწორედ ეს არის სააკაშვილის პოლიტიკური საქმიანობის უმთავრესი სტრატეგია და პოლიტიკურ და სამართლებრივ სფეროებშიც მისი ბოლო წლების ინიციატივებიც ამაზე მეტყველებს. ამჯერად აღნიშნული სტრატეგიის მხოლოდ ორ მნიშვნელოვან ტაქტიკურ ნაბიჯზე გავამახვილებთ ყურადღებას.

პირველი, ესაა ქუთაისში საქართველოს პარლამენტის გადატანა, ხოლო მეორე — ჩვენში დამკვიდრებული და კონსტიტუციონალიზმისათვის მიუღებელი მეთოდოლოგიით მაჟორიტარიზმის ხვედრითი წილის ზრდის ხარჯზე ნაციონალების დაღმავალი პოზიციის „ამოქაჩვა“.

ორივე ინიციატივა, როგორც ჩანს, ადრევე იყო ჩაფიქრებული, ხოლო დანარჩენი მხოლოდ და მხოლოდ ამ ახალი საპრეზიდენტო ინიციატივების პრაქტიკულ რეალიზაციაზეა დამოკიდებული.

საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის დაფუძნების თაობაზე სააკაშვილის მიერ 2009 წლის 8 ივნისს გამოცემული განკარგულების გვერდის ავლით 2009 წლის 24 სექტემბერს იმავე სააკაშვილის პირადი ინიციატივითა და კონსტიტუციური დამატებით (მუხლი 48[1]ძ მიღებულ იქნა შუალედური გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტის ქუთაისთან დაკავშირების შესახებ. ამის შემდეგ საქმე უფრო შორს წავიდა და საპარლამენტო უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სააკაშვილის კიდევ ერთ გაუაზრებელ ინიციატივას — პლენარული სხდომების მხოლოდ ქუთაისში გამართვას. ამ გადაწყვეტილებას კიდევ უფრო გაუგებარი დათქმა მოჰყვა: „საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფლის დროებითი შეცვლა სხდომის ან სესიის მოწვევის მიზნით დასაშვებია მხოლოდ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს“. როგორც ჩანს, აღნიშნული ნორმის ამოქმედება შეიძლება საჭირო გახდეს მანამ, სანამ საბოლოოდ დაკანონდება სააკაშვილის ახალი ინიციატივა — პარლამენტის „გადაკახება“ ქუთაისში.

სააკაშვილის აღნიშნული ინიციატივა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მას თბილისისა და თბილისელების დაუძლეველი შიში აქვს. ამასთან, ქუთაისშიც უნდა გაიაზრონ, რომ პრეზიდენტის ამ ინიციატივის მოტივაცია ქუთაისის განვითარებაზე ზრუნვა კი არ არის, არამედ სააკაშვილის შიში და უნდობლობა თბილისის მოსახლეობისადმი.

ანალოგიური მოტივაცია უდევს საფუძვლად საპარლამენტო არჩევნების სრული მაჟორიტარიზაციის იდეასაც. უნდა გავითვალისწინოთ, რომ უკანასკნელ არჩევნებზე 75 მაჟორიტარული მანდატიდან თბილისზე 10 მანდატი მოდიოდა. უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებზე მაჟორიტარული მანდატების საერთო რაოდენობიდან 71 „წილად ხვდათ“ ნაციონალებს. გამოდის, რომ მაჟორიტარიზაციის იდეის მიზანია საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგებზე თბილისელ ამომრჩეველთა გავლენის მინიმალიზაცია.

საარჩევნო სისტემის სრული მაჟორიტარიზაცია, „მეორე დედაქალაქად“ ქუთაისის გამოცხადება და პარლამენტის იქ გადატანა თავს იყრის ერთი მიზნის გარშემო — სააკაშვილისათვის ასე საშიშმა თბილისმა უნდა დაკარგოს ქვეყნის პოლიტიკური ცენტრის სტატუსი.

მთლიანობაში ზემოაღნიშნული ინიციატივების საბოლოო მიზანი კი ის არის, რომ, ერთი მხრივ, ნაციონალებმა პარლამენტში კვლავაც შეინარჩუნონ მანდატების გარანტირებული უმრავლესობა; ამასთანავე, ჩაკვდეს საქართველოში კონკურენტუნარიანი პოლიტიკური პარტიების სისტემის ფორმირების პერსპექტივა. ასეთი პერსპექტივის გარეშე კი ვერ იარსებებს სამართლებრივად გარანტირებული დემოკრატიული სახელმწიფო. ნაციონალებისათვის სწორედ ეს უკანასკნელია ყველაზე სანუკვარი კონსტიტუციური პროექცია საქართველოში ერთპარტიული სახელმწიფო მმართველობის არა მხოლოდ შესანარჩუნებლად, არამედ განსამტკიცებლადაც.

ბუნებრივია, მთელი ეს პროცესი არსებითად აისახა ხელისუფლებასა და ოპოზიციურ პარტიებს („რვიანს“ძ შორის საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხებზე წარმართულ მოლაპარაკებებზე. უცნაურია, მაგრამ ამ მოლაპარაკებათა ფარგლებში არ დამდგარა საარჩევნო გარემოს კონსტიტუციური გარანტიის საკითხი. მოლაპარაკებები ჯერჯერობით არ არის შეთანხმებამდე მისული და ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ნაციონალებს არა და არ ეთმობათ ის ე. წ. „საარჩევნო გარემო“, რომელმაც ზოგადად და, განსაკუთრებით, საარჩევნო სისტემის სრული მაჟორიტარიზაციის პირობებში ნაციონალები საქართველოს პარლამენტში კონსტიტუციური უმრავლესობით უნდა უზრუნველყოს. კონსტიტუციურმა საპარლამენტო უმრავლესობამ კი, თავის მხრივ, უპრობლემოდ უნდა უზრუნველყოს ახალი კონსტიტუციური რეფორმით სახელმწიფო მმართველობის სისტემის მოთავე ინსტიტუტად შემოთავაზებული პრემიერ-მინისტრის თანამდებობის ნაციონალებისათვის შენარჩუნება.

როგორც ჩანს, მთავრობაც ქუთაისზე იქნება „მიბმული“. პრემიერ-მინისტრს კი ორ ქალაქში დაბინავება მოუწევს. ამის შემდეგ, ერთი ცნობილი ანეკდოტისა არ იყოს, თბილისელებს პრემიერი ქუთაისში ეგონებათ, ქუთაისელებს — თბილისში, ნაციონალური საპარლამენტო უმრავლესობის რჩეული სააკაშვილი კი კონტრასიგნებულებს „ინდივიდუალურ ტურიზმთან“ შერწყმულ „აღმშენებლობით“ საქმეებს.

**„ქართული აკადემია“**



საერთაშორისო კონფერენცია

# გლობალიზაცია და უსაფრთხოება აქტუალობას იძენს

**„რედისონ ბლუ ივერიაში“ აბრეშუმის გზის მეექვსე საერთაშორისო კონფერენცია „გლობალიზაცია და უსაფრთხოება შავი და კასპიის ზღვების რეგიონებში“ გაიხსნა.**

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორმა, დოქტორმა **გიული ალასანიამ** აღნიშნა, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში აქტუალობის მიხედვით, განათლება იქნება, ეკონომიკური განვითარება თუ ევროკავშირთან ინტეგრაცია, კონფერენცია ყოველწლიურად ტარდება. „დღევანდელი კონფერენციის თემაა გლობალიზაცია და უსაფრთხოება, ამიტომ ამჯერად ჩვენი პარტნიორები არიან შინაგან საქმეთა სამინისტრო, ეროვნული უშიშროების საბჭო.

ამ კონფერენციისთვის სერიოზული საორგანიზაციო მუშაობა გავწიეთ, მაგრამ სამწუხაროდ, იმან, რაც 25 მაისს მოხდა, ხელი შეუშალა ყველა სტუმარს ჩამოსვლაში.

კონფერენციას ორ დღეს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი უმასპინძლებს“, — აღნიშნა გიული ალასანიამ.



კონფერენციის მონაწილეებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** მიესალმა. მისი თქმით, განათლება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს უსაფრთხოების განმტკიცებაში. ამ მხრივ საქართველოს მთავრობა ძალისხმევას არ იშურებს და ცდილობს, ხელი შეუწყოს უმაღლესი განათლების საერთაშორისო არეალში მოქცევას — პაკისტანელი, სომეხი, აზერბაიჯანელი, თურქი სტუდენტები საქართველოში სწავლობენ. „მწამს, მთელ რეგიონს უსაფრთხოებას შევძენთ და საქართველო ამაში გადამწყვეტ როლს შეასრულებს“, — აღნიშნა შაშკინმა.

უშიშროების ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ბათუ ქუთელიამ** ხაზი გაუსვა ჩვენს რეგიონში უშიშროების სირთულეს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი რუსეთ-საქართველოს შორის დიდი საფრთხე იყო არა მხოლოდ ორი ქვეყნისთვის, არამედ — მთელი რეგიონისთვის. ამიტომ აუცილებელია უშიშროების ახალი მექანიზმების შემუშავება ამგვარი ტიპის კრიზისის თავიდან ასაცილებლადო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **შოთა უტიაშვილმა** უშიშროების თვალსაზრისით რეგიონულ თანამშრომლობაზე გაამახვილა ყურადღება. მან 25 მაისის ღამის მოვლენებზეც იმსჯელა და ექსტრემისტების მცირე ჯგუფის გამოსვლა უწოდა მოსახლეობის 1 პროცენტის მხარდაჭერითო.

სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს ეროვნული ტურისტული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე **ბექა ჯაყელი,** ეროვნული უშიშროების საბჭოს ანალიტიკური განყოფილების ხელმძღვანელი **ლაშა დარსალია,** შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი **მ. ერჯან თურჩი** და სხვები.

**ნატა ნიბლაძე,**

ფათიჰ დემირის ფოტო.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სახალხო პროტესტი თუ „რუსული პროვოკაცია“?

**რამდენიმე საათის შემდეგ, რაც თბილისის რუსთაველის პროსპექტი საქართველოს პარლამენტის შენობასთან მომიტინგეებისგან „გაათავისუფლეს“, ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამ ადგილზე სამხედრო პარადი მიიღო.**

ქართული რადიკალური ოპოზიციის ლიდერების დაპირება – უახლოეს მომავალში გაეთავისუფლებინათ ქვეყანა საქართველოს პრეზიდენტისგან – ვერ გამართლდა.

მაგრამ მიტინგის დარბევამდე სულ რამდენიმე საათით ადრე პარლამენტის წინ ანტისამთავრობო აქციის ორგანიზატორები დარწმუნებული იყვნენ თავიანთ ძალაში.

## სცენარი „გარედან“

ხუთშაბათს დილით რუსთაველის პროსპექტზე უკვე აღარაფერი მოგვაგონებდა ანტისამთავრობო აქციის ღამისეულ დარბევაზე პარლამენტის წინ, როდესაც დაიღუპა ორი კაცი და რამდენიმე ათეული დაშავდა.

პროსპექტზე განლაგდნენ სამხედროები, პარლამენტის წინ ტრიბუნაზე კი ავიდა ქვეყნის პრეზიდენტი.

ანტისამთავრობო დემონსტრაცია დაარბიეს ღამით. ორი კაცი დაიღუპა, რამდენიმე ათეული დაიჭრა.

თავის სიტყვაში, რომელიც გადაიცემოდა ტელევიზიით, სააკაშვილმა გამოიყენა აგრეთვე პროტესტის ხუთდღიანი აქციის თემა. პრეზიდენტმა თქვა, რომ საბოტაჟის, საქართველოში უწესრიგობებისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის მეოცე წლისადმი მიძღვნილი პარადის ჩაშლის სცენარი დაიწერა „საქართველოს გარეთ“.

და, მართალია, მას არ დაუსახელებია, თუ კონკრეტულად სად, მეთვალყურეები მის სიტყვებში რუსეთს გულისხმობენ.

## ბრალდება გადატრიალების მცდელობაში

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის შოთა უტიაშვილის სიტყვებით, არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ორგანიზატორების ნაწილი განიხილავდა ხელისუფლების შეცვლის გეგმას მასობრივი უწესრიგობებისა და ძალადობის გზით.

26 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა აუდიოჩანაწერი, რომელიც, ხელისუფლების განცხადებით, არის საუბარი ნინო ბურჯანაძესა და მის შვილ ანზორ ბიწაძეს შორის, რომელშიც ნახსენებია რევოლუცია, შესაძლო მსხვერპლი, აგრეთვე საქართველოში პრორუსულად განწყობილი მოქალაქეების პროცენტის შესახებ.

მოსაუბრე, რომელიც, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტრო ამტკიცებს, არის ბურჯანაძის შვილი, ასევე აცხადებს, რომ თუ მათ ცეცხლს გაუხსნის კოჯრის ბატალიონი, მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა დაზვერვის მთავარ სამმართველოსთან.

კოჯრის სპეციალური დანიშნულების ქართული ბატალიონი – ეს არის ელიტური ქვედანაყოფი, რომლის მებრძოლებიც ან უკვე იყვნენ ერაყში სამშვიდობო მისიით, ან ემზადებიან მისთვის.

ჩანაწერი გახდა ქართულ ტელეარხებზე ერთ-ერთი მთავარი ახალი ამბავი.

საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მოჰყავთ ბურჯანაძის სიტყვები და აღნიშნავენ, რომ ფრაზები ამოღებულია კონტექსტიდან, ოპოზიცია კი არ ამზადებდა სამოქალაქო ომს, შეგნებულად არ მიდიოდა ამაზე, რაც კარგად ჩანს რადიკალური ოპოზიციის მოქმედებებში.

## მოსკოვის ხელი?

მმართველი პარტიის წარმომადგენელთა სიტყვებით, პოლიციის მოქმედებები კანონიერია, ანტისამთავრობო აქციების ორგანიზატორები კი მოქმედებდნენ სცენარით, რომელიც დაწერილი იყო კრემლში.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს გამოიძიონ აქციის დარბევა „ყველაზე სერიოზული ყურადღებით საერთაშორისო დონეზე“.

მაგრამ თბილისში ამბობენ, რომ ოფიციალური მოსკოვის განცხადება დაკავშირებულია მათს გაწბილებასთან, რომ ვერ შესრულდა ხელისუფლების შეცვლის გეგმები.

## ვინ არის დამნაშავე?

სამართალდამცველები ბრალს სდებენ პოლიციას ძალის ზედმეტად გამოყენებაში მიტინგის დარბევის დროს და მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას გამოიკვლიოს მომხდარი ამბავი.

მაგრამ ზოგიერთი ექსპერტის სიტყვებით, თავად პროტესტების ორგანიზატორების მოქმედება იყო აშკარად კონფრონტაციული ხასიათისა.

პროტესტანტთა დიდი ნაწილი „შეიარაღებული იყო“ დროშების ტარებითა და ჯოხებით. ამ დროს ისინი არ მალავდნენ, რომ დარბევის დროს გაუწევენ წინააღმდეგობას სამართალდაცვის ორგანოებს.

საქართველოში არ ყოფილა საზოგადოებრივი წინაპირობები რევოლუციური პროცესებისთვის, ამბობენ ექსპერტები, ოპოზიციური პარტიების დიდი ნაწილი კი პროტესტებისგან დისტანციაზე იმყოფებოდა.

მაგრამ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორი გიორგი მარგველაშვილი საქართველოს ხელისუფლების მოქმედებას 26-ის ღამით „დამსჯელ ოპერაციას“ უწოდებს. მისი სიტყვებით, ხელისუფლებას სურდა კიდევ ერთხელ ეჩვენებინა თავისი ძალა.



BBC RUSSIAN.com

# მსოფლიოში სააკაშვილის სიმკაცრის გამო შეშფოთებულნი არიან

**გარემეთვალყურეები გაოცებული არიან საქართველოს პოლიციის მიერ ძალის ზედმეტად გამოყენების გამო დემონსტრანტების წინააღმდეგ.**

*– ქრისტოფ ვანერ, როგორ ავხსნათ ასეთი ქცევა?*

ქრისტოფ ვანერი, ჩვენი კორესპონდენტი, ბერლინი: საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ეს ავტორიტარული მმართველია. მას „ცხელი თავის“ რეპუტაცია აქვს და წარსულში ოპოზიციური დემონსტრაციების დროს ის ხშირად ძლიერ რეაგირებდა მათზე.

*– დემონსტრაციები საქართველოში უკვე რამდენიმე დღეა, რაც მიმდინარეობს. წარმოადგენს ეს საფრთხეს სააკაშვილის ხელისუფლებისთვის?*

ქრისტოფ ვანერი: ამ მომენტისთვის – არა. სააკაშვილი ჯერ ისევ მყარად ზის უნაგირზე. ეს ხდება იმის გამო, რომ ოპოზიცია ძალიან გათიშულია. პარლამენტის ყოფილი სპიკერისა და სააკაშვილის ყოფილი თანამებრძოლის ნინო ბურჯანაძის ირგვლივ შეიკრიბა ბევრი ცალკეული ლიდერი. მაგრამ მას დამოუკიდებლად არ გააჩნია ამდენი ძალა, და დანარჩენებს კი აქვთ საკუთარი ამბიციები. ოპოზიცია არ არის მონოლითური და სააკაშვილისთვის იგი ჯერჯერობით საფრთხეს არ წარმოადგენს.

*– ჩვენ ეს ვიხილეთ წინა რეპორტაჟში, სააკაშვილი დემონსტრაციებში საზღვარგარეთის ძალებს ადანაშაულებს. ვინ დგას ამ დემონსტრაციების უკან?*

ქრისტოფ ვანერი: როდესაც სააკაშვილი საუბრობს ძალაზე საზღვარგარეთიდან, მას, ბუნებრივია, მხედველობაში მოსკოვი ჰყავს. განსაკუთრებით ვლადიმერ პუტინი. პუტინი – ეს სააკაშვილის პირადი მტერია. აი ახლაც რეპორტაჟში ახსენეს 2008 წლის ომი საქართველოში, როდესაც მოსკოვი თავს დაესხა საქართველოს 59-ე არმიის ძალებით და დაამთავრა ეს ომი ხუთ დღეში, მაგრამ ვერ შეძლო სააკაშვილის დამხობა.

SF SCHWEIZER FERNSEHEN

# პოლიციამ დემონსტრაცია მკაცრად დაარბია

**ხუთშაბათს სამართალდაცვის ჯგუფებმა მკაცრად გააკრიტიკეს საქართველოს მთავრობა პოლიციის მიერ ძალის ზედმეტად გამოყენებისთვის გვიან ღამით, ოპოზიციის დემონსტრაციების დარბევის დროს.**

დემონსტრაციის დარბევა ყველაზე მკაცრი იყო 2007 წლის შემდეგ, როდესაც პოლიციამ დაარბია უფრო მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია, დაჭრა 500 კაცი. მაშინ ინციდენტის შემდეგ სააკაშვილმა მოუწოდა მოეწყოთ ვადამდელი არჩევნები, რომელზეც გაიმარჯვა კიდეც. მთავრობა ცდილობდა თავი აერიდებინა ამგვარი შეჯახებისთვის იმ მომენტიდან, როდესაც დიდი საპროტესტო აქციები საქართველოში უკვე იშვიათობას აღარ წარმოადგენს.

მთავრობა ყველაფერში ბრალს სდებს ოპოზიციის ლიდერებს, აცხადებს, რომ პოლიცია გადაეყარა დაპირისპირებას ახალგაზრდების მხრიდან, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ ხელკეტებით. ახალგაზრდებმა დაბლოკეს ქალაქის მთავარი ქუჩა, რუსთაველის პროსპექტი თვითნაკეთი ბარიკადებით.

დემონსტრაცია პოპულარული პრეზიდენტის წინააღმდეგ გახდა უკანასკნელი მიტინგების სერიაში, რომლებიც დაიწყო ახლო აღმოსავლეთში წარმატებული დემონსტრაციების შემდეგ. ოპოზიცია მოითხოვს სააკაშვილის გადადგომას, რომელსაც ბრალს სდებს ხელისუფლების უზურპაციასა და ოპოზიციაზე ზემოქმედებაში.

სააკაშვილი, რომელიც ესწრებოდა აღლუმს, აცხადებს, რომ დემონსტრაციების უკან დგას რუსეთი, ვისთანაც საქართველომ ვერაფრით ვერ მოაწესრიგა ურთიერთობანი 2008 წლის შემდეგ.

დემონსტრაციის ორგანიზატორები კატეგორიულად უარყოფენ რუსეთის მონაწილეობას დემონსტრაციაში.

დემონსტრაციების ხუთი დღის განმავლობაში მოხდა რამდენიმე შეტაკება დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის, თუმცა აქციები მთლიანად მშვიდობიანად მიმდინარეობდა. პოლიცია დემონსტრანტებს აძლევდა გადაადგილების ნებას, მაგრამ დაიწყო მათი დარბევა, როდესაც დემონსტრაციებზე ნებართვა დამთავრდა ოთხშაბათს შუაღამისას.

„თბილისში დემონსტრაციები სანქციონირებულიც რომ არ ყოფილიყო, ვერაფერი გაამართლებს მშვიდობიანი მოპროტესტეების ცემას“, – განაცხადა „ჰუმან რაითს ვოტჩის“ ევროპისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა რეიჩელ დენბერმა. „პოლიციელები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ცემისთვის, უნდა დაისაჯონ“.

ჯგუფმა განაცხადა, რომ პოლიცია უკან მისდევდა გაქცეულ პროტესტანტებს, ზოგიერთ მათგანს ალყა შემოარტყა კინოთეატრთან, სცემდა თითოეულს, რომელიც ცდილობდა იქიდან გამოქცევას. ადგილობრივმა სამართალდაცვის ჯგუფებმაც დაგმეს დემონსტრაციის დარბევა.

The New York Times

## დედამიწის ზურგზე



**მთვარის წარმოქმნის თეორია ეჭვქვეშ დადგა**

აქამდე მიაჩნდათ, რომ მთვარე წარმოიქმნა დედამიწის დიდ კოსმოსურ ობიექტთან შეჯახების შედეგად. ამ დროს, მეცნიერების გაანგარიშებით, მთელი წყალი მთვარეზე უნდა აორთქლებულიყო. მაგრამ მთვარის გრუნტის ანალიზმმა აჩვენა: მასში წყალი ასჯერ მეტია, ვიდრე მეცნიერებს ეგონათ.

* * *

**ატომურ ელექტროსადგურ „ფუკუსიმა-2“-ში გაჩნდა ხანძარი, გვერდით კი – ახალი მიწისძვრა**



დაღუპულები და დაშავებულები არ არიან. ხანძარი მოხდა ელექტროძრავების შენობაში, რომლებიც პირველი რეაქტორის მახლობლადაა და რადიაქტიური ნივთიერებების გამოდენა არ მომხდარა. ეს რეაქტორი გააჩერეს 11 მარტს. ახალი მიწისძვრის მაგნიტუდა 4,7 ბალია, ცუნამის საფრთხე არ არის.

* * *

**რატკო რადიჩის დაპატიმრების წვრილმანები: გენერლის პირველი აღიარებანი და ფოტო**



გენერალი დააპატიმრეს ბელგრადიდან 70 კილომეტრში შორეული ნათესავების სახლში. მლადიჩი უკანასკნელი წლების განმავლობაში დიდად არ შეცვლილა, მაგრამ მას ცალი ხელი აღარ უმოქმედებს. როდესაც მის დასაჭერად მოვიდნენ, დამნაშავეს არ დაუწყია სროლა: „არ მინდოდა ბავშვების დახოცვა“. დაპატიმრება მოხდა მეტად დროულად. უკვე რამდენიმე თვის შემდეგ სერბეთი შეიძლება დამშვიდობებოდა ევროკავშირში შესვლას.

* * *

**ვენესუელამ ხელი მოაწერა შეთანხმებას კოსმოსში მეორე ჩინური თანამგზავრის გაშვების შესახებ**

მას ეწოდება VRSS-1 და იგი 140 მილიონი დოლარი დაჯდება. მისი დახმარებით ვენესუელელი სპეციალისტები მოაწყობენ სადღეღამისო თვალყურის დევნებას ეროვნულ ტერიტორიაზე. პირველი თანამგზავრი, რომელიც ვენესუელამ შეუკვეთა ჩინეთში, იყო „სიმონ ბოლივარი“. ის ორბიტაზე გაიყვანეს 2008 წლის ოქტომბერში.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ნავთობპროდუქტები

# „კავკასიური არითმეტიკის“ მძევლები

**ჰიპოთეტური ვითარება წარმოვიდგინოთ და, ვთქვათ, ვინმე ცნობისმოყვარე უცხო სტუმარმა, რომელიც მეტ-ნაკლებად ერკვევა ეკონომიკაში, ქართველ მასპინძელს რომ ჰკითხოს, რით განსხვავდება საქართველოში საქონელზე ფასწარმოქმნა ცივილიზებულ ქვეყნებში მიღებული წესისგანო, სანაძლეოს ჩამოვალ, რომ თუ მასპინძელს სინდის-ნამუსი და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე ოდნავი წარმოდგენა მაინც აქვს, აუცილებლად უპასუხებს: რაკი ქვეყანაში არ არსებობს ეკონომიკის თუნდაც ერთი არამონოპოლიზებული სფერო, ნებისმიერი სახეობის პროდუქციაზე (გნებავთ, მომსახურებაზე) ფასები თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის კანონების თანახმად კი არა, კარტელური გარიგებების საფუძველზე დგინდებაო.**

სიმართლე გითხრათ, თემა, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, პირადად მე რამდენადმე მომყირჭდა თუნდაც იმიტომ, რომ დაახლოებით სამი კვირის წინათ მას კიდევ ერთი მასალა მივუძღვენი, მაგრამ, მისი აქტუალობიდან გამომდინარე, იძულებული ვარ კვლავ დავუბრუნდე. მეტიც: ვიდრე საქართველოს სინამდვილეში ბაზარზე ე.წ. მსხვილი მოთამაშეების კარტელურ გარიგებათა მანკიერი პრაქტიკა არ მოისპობა, ამ საკითხს გაზეთი კიდევ მრავალჯერ მიუძღვნის მასალებს. ამ შემთხვევაში,კერძოდ, ლაპარაკი ისევ და ისევ ნავთობპროდუქტების ბაზარზე სადღეისოდ არსებული ყოვლად უგვანო ვითარებაზე გვექნება, რისი აღიარება (წლების მანძილზე!ძ არამც და არამც არც თავად ნავთობპროდუქტების მსხვილ იმპორტიორებს სურთ და არც „ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა“ „პროფესიული“ კავშირის მესვეურებს.

პირდაპირ საქმეზე რომ გადავიდეთ, აღვნიშნავთ, რომ საქართველოში მსხვილი იმპორტიორების ყოვლად არაწესიერი საქციელი თუნდაც იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ მეზობელი აზერბაიჯანიდან და შორეული რუმინეთიდან თუ იტალიიდან შემოზიდული ბენზინი თუ დიზელის საწვავი დაახლოებით ერთი და იგივე ფასი ღირს („სრ“ ამის თაობაზეც არაერთხელ წერდაძ. ასევე ისიც აღვნიშნეთ, რომ ბენზინზე ძვირი დიზელის საწვავი, ალბათ, მხოლოდ საქართველოში თუ არის. კაცმა რომ თქვას, მათ შორის ფასში ხუთი თეთრი განსხვავება არაფერი ფულია, მაგრამ, აბა, ერთი, მილიონობით ტონაზე გადავამრავლოთ, მერე ვნახავთ, რა თანხებთან გვაქვს საქმე...



ნავთობპროდუქტების ბაზარზე ფასების შესახებ ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ვიდრე ქვეყანაში იმის პოლიტიკური ნება არ გაჩნდება, რომ მსხვილი კომპანიები, კარტელური გარიგების ხარჯზე, მოგებას ყველა ნორმაზე ჭარბად არ იღებდნენ, საქმეს არაფერი ეშველება. ამით ისინი არა მხოლოდ პროფესიონალ და მოყვარულ მძღოლებს, ასევე ტვირთებისა თუ მგზავრების გადამზიდველებს, არამედ ერთიანად ყველას გვაზარალებენ, რადგან ძვირი ნავთობპროდუქტები ყველა სახეობის საქონელს გვიძვირებს.

თვალსაჩინოებისთვის შემოგთავაზებთ ნავთობპროდუქტების, კერძოდ, ბენზინისა და დიზელის საწვავის ფასებს პოსტსაბჭოთა რამდენიმე სახელმწიფოში. მაშ ასე, როგორც ვიცით, **უმაღლესი ხარისხის ბენზინი „სუპერი“ და დიზელის საწვავი თბილისის ავტოგასამართ სადგურთა უმეტესობაში, შესაბამისად, 2.30 და 2.35 ლარი ღირს: აზერბაიჯანში ეს ფასები შესაბამისად (ლარებზე გადაანგარიშებით) 0.98 და 0.74 ლარია; უკრაინაში — 2.35 და 2.06 ლარი; ბელარუსში — 1.70 და 1,48 ლარი; მოლდოვაში — 1,84 და 1.70 ლარი, ხოლო რუსეთში — 1.41 და 1.24 ლარი.** თუმცა რუსეთში საწვავის სიიაფე არც არის გასაკვირი, რადგან მას იმდენი ნავთობი აქვს, რომ დღემდე თუ ამ დონეზე „გრიალებს“ ეს, უმეტესწილად, ნავთობდოლარების „დამსახურებაა“.

**ოთარ ტურაბელიძე.**

***P. S. ჩვენში ნავთობპროდუქტების ფასებზე რომ ვლაპარაკობდით, ერთი ძველი, მაგრამ, ვფიქრობ, დღესდღეობითაც ერთგვარად სიცხარედაუკარგავი ანეკდოტი გამახსენდა: ერთი ჩვენი კავკასიელი მეზობელი ამბობს: — ე, რა ხალხი ხართ ქართველები! აი, მაგალითად, ჩვენთან შაქარი ორჯერ უფრო იაფია, ვიდრე თქვენთან სამჯერ უფრო ძვირი!***

***ხომ საინტერესო „კავკასიური არითმეტიკაა“?! ჩვენში ბენზინისა და დიზელის საწვავის ფასიც, როგორც ჩანს, ამავე „ლოგიკით“ დგინდება. და კიდევ ფულის დიდი სიყვარულით.***

***ო.ტ.***

რა ხდება?

# ...ისეთივე საიდუმლოდ დარჩება, როგორც კენედის მკვლელობა

**წლევანდელი გაზაფხული, ეჭვი არ არის, მსოფლიოში დაძაბულობის გრადუსით, XXI საუკუნის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს. იმ მოვლენათა შორის, რომლებმაც საერთაშორისო ცხოვრების გრადუსი დუღილის ტემპერატურამდე ასწიეს, ცხადია, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები, არაბული და ჩრდილოაფრიკული რევოლუციები, ასევე 1 მაისს მსოფლიოში № 1 ტერორისტად გამოცხადებული უსამა ბინ ლადენის ლიკვიდაციაა, თუმცა ამ ბოლო მოვლენის მიმართ მსოფლიო მასმედიაში მრავალი განსხვავებული, ხშირად ერთი მეორეზე უფრო სენსაციური პუბლიკაციები ჩნდება.**

კერძოდ, 6 მაისს მსოფლიო საინფორმაციო სივრცეში ერთგვარი „ატომური ბომბი“ გასკდა, რამაც, შესაძლოა, კარდინალურად შეცვალოს გლობალური პროცესების მიმდინარეობა. მხედველობაში გვაქვს ორი სენსაციური განცხადება, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთმა ყველაზე ინფორმირებულმა მაღალი რანგის ანალიტიკოსმა, ფსიქოლოგიური ომისა და ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში სპეციალისტმა, შეერთებული შტატების რამდენიმე პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სახელმწიფო დეპარტამენტის დაგეგმარების განყოფილების უფროსმა, ამჟამად კი თავდაცვის სამინისტროს კონსულტანტმა, დოქტორმა სტივენ რ.პეჩენიკმა პოპულარულ რადიო-და ინტერნეტგადაცემაში „ალექს ჯონსის შოუში“ გააკეთა.



პირველია ის, რომ **უსამა ბინ ლადენი ბუნებრივი სიკვდილით ჯერ კიდევ 2001 წელს გარდაიცვალა. თანაც ეს განმეორებით განაცხადა — პირველად მან ეს იმავე გადაცემაში 2002 წელს გააკეთა (სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინათ ირანის დაზვერვის მინისტრმა ჰეიდარ მოსლეჰიმ იგივე განაცხადა). მეორე ამბავი კი გაცილებით შოკის მომგვრელია: სტივ პეჩნიკმა გარკვევით თქვა, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი ამერიკულ სპეცსამსახურთა მიერ დადგმული ოპერაცია იყოო!!** ამ განცხადებას და მასზე შესაძლო რეაქციას ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლიტიკური კრიზისის ვითარების გამოწვევა შეუძლია. ყოველ შემთხვევაში იგი სერიოზულ დარტყმას აყენებს პრეზიდენტ ობამას მიერ აგებულ შეერთებული შტატებისთვის ყველაზე მძაფრ სტრატეგიულ პრობლემათა გადაწყვეტის მოდელს.

პეჩნიკმა განაცხადა, რომ იგი მზადაა ამ საკითხზე ჩვენება მისცეს დიდ ჟიურის. ეს კი ძალიან სერიოზული ბრალდებაა! ამდენად, გაუგებარია, თუ როგორ შეძლებენ 11 სექტემბრის ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებული ამ სკანდალის ჩაცხრომას. ინტერპოლის რუსეთის ბიუროს ყოფილი უფროსის, გენერალ ვლადიმირ ოვჩინსკის აზრით, ძნელი დასაჯერებელია, რომ პეჩნიკი მარტო მოქმედებდეს. ისე კი, მისი ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებით და თეთრ სახლში მრავალწლიანი მუშაობის პერიოდში ურთიერთობების ახლო წრის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ ეს ხალხი **ჰენრი კისინჯერი, საირუს ვენსი, ჯორჯ შულცი და ჯეიმს ბეიკერი** უნდა იყვნენ, ოთხივე ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი.

გენერალ ოვჩინსკის ეჭვი არ ეპარება, რომ რეალურად თუ ვირტუალურად, ბინ ლადენი მკვდარია. იმიტომ, რომ თუკი ეს ასე არ არის, ობამას მიმართ მაშინვე იმპიჩმენტის მექანიზმს ჩართავენ. ის კი ასე არასდროს გარისკავს. **საქმე ის არის, თუ როდის მოკვდა უსამა? ამ კითხვაზე პასუხად გენერალი ამბობს, რომ ეს, ალბათ, ისეთივე მარადიულ გამოცანად დარჩება, როგორც ჯონ კენედის მკვლელობა. ასეთივე გამოცანად დარჩება 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტიც. უკვე უამრავი მტკიცებულებაა დაგროვილი იმისა, რომ ბინ ლადენს იმ მოვლენებთან საერთო არაფერი ჰქონია.**

1 მაისის შემდეგ მრავალ ამერიკულ საიტზე გაჩნდა უსამას მიერ ერთი პაკისტანური გაზეთისთვის მიცემული ინტერვიუ, რომელიც, რომ იტყვიან, „ცხელ კვალზე“, 2001 წლის 28 სექტემბერს იქნა ჩაწერილი. მასში **იგი კატეგორიულად უარყოფს იმ მოვლენებთან თავის კავშირს.** ამით მტკიცდება ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ყოფილ თანამშრომელთა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბინ ლადენის ყველა „გამოსვლა“ გაყალბებული იყო.

უსამა ბინ ლადენის სიკვდილი სულაც არ ნიშნავს საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხის შემცირებას. პირიქით, იგი გაიზრდება, ამდენად ყურადღების მოდუნება არაფრით არ შეიძლება. ხოლო რაც შეეხება პეჩნიკს, მასთან „თამაშში“ საინფორმაციო ომის სფეროს ამერიკელმა სპეციალისტებმა ეშმაკური სვლა გააკეთეს. „ამერიკის ხმის“ საიტზე მათ ვერსიების მთელი დასტა გაავრცელეს, რომლებიც უარყოფენ ბინ ლადენის სიკვდილის ვერსიასაც, მათ შორის პეჩნიკის ვერსიასაც. ამდენად, ინფორმაციის ზვავში ჭეშმარიტი ინფორმაციის კონტურები სულ უფრო მეტად ბუნდოვანი ხდება.

**ლალი ხუნდაძე**

თანადგომა

# თითოეულმა ამერიკელმა ქართველს საშუალოდ 1,27 დოლარი აჩუქა

ნიუ-იორკში რადიო „დევიდზონის“ დარბაზში ქართული დიასპორის, აშშ-ში საქართველოს საპატიო საკონსულოს, ამერიკული Millennium Challenge Corporation და ქართული Millennium Challenge Georgia Fund-ის წარმომადგენლების შეხვედრა გაიმართა. საქართველოში „ათასწლეულის ფონდის“ მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმის ჩვენების შემდეგ, ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი აბუშელიშვილმა ამერიკის მთავრობისგან 5 წელზე გაწერილი 395,5 მილიონი დოლარის ოდენობის გრანტით განხორციელებული პროექტების არსზე, პრობლემებზე, წარმატებებსა და სიცოცხლის უნარიანობაზე ისაუბრა. ამ ფონდის მიერ დაფინანსებულ, უკვე დასრულებულ პროექტებს შორისაა სამცხე-ჯავახეთის გზა, აგრობიზნესის მცირე გრანტების პროგრამა, თევზჭერის აღორძინება. სულ ხუთწლიანი პროექტის მიმდინარეობის დროს საქართველოს 3000-მდე მოქალაქე დასაქმდა. ფონდის დირექტორის თქმით, ამერიკული მხარე ამ პროექტით ამაყობს, რადგანაც საკუთრივ ფონდის მიზნების წარმატებულად განხორციელების გარდა, თავად გრანტის თანხის ათვისების სტრატეგიაც იყო ოპტიმალური და კორექტული, რაც წელიწადში ორჯერ ჩატარებულმა სააუდიტორო შემოწმებებმაც ცხადყო.

ამ დროის განმავლობაში ქართული მხარე ასევე შეეცადა მაქსიმალურად შეემცირებინა პროექტების ადმინისტრაციული ხარჯები. გიორგი აბუშელიშვილის თქმით, ადამიანებს თავიდანვე არ სჯეროდათ, რომ კერძო ბიზნესისთვის თანხის აღებას ყოველგვარი „ჩაწყობის“ გარეშე შესძლებდნენ. ფონდის თანამშრომლებს კი ლამის კარდაკარ უხდებოდათ სიარული და ადამიანების აგიტაცია, რათა მათ გრანტზე განაცხადი დაეწერათ. 4-5 წლის წინათ არავის სჯეროდა, რომ სამცხე-ჯავახეთს ოდესმე გზა ეღირსებოდა. არც ის ეგონა ვინმეს, რომ ქართველები გზის ნორმალურად დაგებას ისწავლიდნენ. შემდგომაში კი აღმოჩნდა, რომ ესეც შესძლებიათ, თანაც სწრაფად და ხარისხიანად. შედეგად კი პროექტში, ფაქტობრივად, ქართველებმა გზის დამგები უცხოური კომპანიები „განდევნეს“.

შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო ამერიკული მხარის მიერ საქართველოში „ათასწლეულის გამოწვევის“ პროექტების შესაძლო გაგრძელებას. ამჯერად, გეგმაშია საქართველოში ისეთი ამერიკული უნივერსიტეტის დაარსება, რომელიც თავისი სასწავლო დონით აშშ-ის წამყვან უნივერსიტეტებს გაუთანაბრდება. ასევე აღნიშნა, რომ „მილენიუმის ფონდის“ მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი თანხით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ თითოეულმა ამერიკელმა ქართველს საშუალოდ 1,27 დოლარი აჩუქა. ამ თანხაში ხომ ამერიკაში მცხოვრები ქართველების მიერ გადახდილი გადასახადების წილიცაა.

აშშ-ში საქართველოს საპატიო კონსულმა ლაშა დარბაიძემ, რომელმაც შარშან ქართველების მიერ პოკონოს (შტატი პენსილვანიაძ სამონასტრო კომპლექსის შესყიდვაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, ისაუბრა მისი და მისი თანამზრახველების სამომავლო გეგმებზე: აშშ-ში დაარსებულ „ქართული სახლზე“, ქართული სკოლის, სპორტის აკადემიის შექმნის პერსპექტივებსა და ზოგადად ამერიკაში, სადაც ჩვენებურების ბავშვები იბადებიან და იმთავითვე ამერიკის მოქალაქეები ხდებიან, ქართული ენისა და კულტურის შენარჩუნების მნიშვნელობაზე.

**ია მერკვილაძე,**
ნიუ-იორკი, აშშ

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ფეხბურთი

# გაგრელთა ევროპული არჩევანი

**„გაგრამ“ დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების განვლილ ეტაპებზე თბილისის „დინამო“ და „ვიტ ჯორჯია“ დაამარცხა, რაც ავტომატურად გამორიცხავდა დევნილთა კლუბის წლევანდელი წარმატების შემთხვევითობად მიჩნევა.**

მერე რა, რომ უკრაინაში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენის ბესო ჩიხრაძის ნაამაგარი და ამავე ქვეყნის შვილის – ანატოლი პისკოვეცის გაწვრთნილი გუნდი მეორე ლიგის ბინადარია – სათასო ბატალიებს ხომ არაერთი ანალოგიური ფაქტი ახსოვს. გზა დავულოცოთ გაგრელებს ევროპის ლიგაში.

არანაკლებ ლოგიკური გახლდათ მეორე ფინალისტის – ქუთაისის „ტორპედოს“ აღზევება, რომელსაც „ვისოლი“ პატრონობს. ეროვნულ ჩემპიონატში დაკავებული მეოთხე ადგილი, გამართული ინფრასტრუქტურა და თუნდაც წაგებული გადამწყვეტი სათასო რაუნდი იმედს გვისახავს, რომ მალე რიონის ნაპირებზე სასახელო ტრადიციები აღდგება.



**„გაგრა“ – „ტორპედო“ 1:0**
**(დამატებით დროშიძ**
**გოლი:** თოდუა (საკუთარ კარში, 116-ე წთ.ძ.

არაერთი ფინალის გახსენება შეიძლება, როცა მისი მონაწილენი სხვადასხვა ტაქტიკური სქემებით ცდილობდნენ მეტოქეთათვის ხელის შეშლას და საწადელის ნეზისმიერი ხერხით მიღწევას. საბედნიეროდ, ამჯერად ასე არ მოხდა – ბიჭებმა თავიდანვე აქტიურ სათამაშო სტილს მიანიჭეს უპირატესობა და ამით რუსთაველზე განვითარებული ტრაგიკული მოვლენებით დაზაფრულ გულშემატკივართათვის ხასიათის გამოკეთება სცადეს.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ბურთი სამჯერ მოიგერია კარის ძელმა, ბრძოლის გმირი კი გაგრელთა მეკარე სეფიაშვილი გახდა. რაც შეეხება კვანძს, იგი მოულოდნელად გაიხსნა – მაშინ, როცა ჰაერში პენალტების სუნი დატრიალდა, ზღვისპირელთა ფლანგურ ჩაწოდებას თოდუას საბედისწერო ავტოგოლი მოჰყვა – 1:0.

**გიორგი შოთაძე**

ანონსი



**დღეს**

**რაგბი. 20-წლამდელთა მსოფლიო ალაფი. საქართველო – ზიმბაბვე. ავჭალის სტადიონი. 18 საათი.**

**ხვალ**

**კალათბურთი. საქართველოს სუპერთასი. „არმია“ – შსს. თბილისის სპორტის სასახლე 14 საათი.**

კალათბურთი

# სამწუთიანი სასწაული

**როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომრის სპორტულ გვერდში ვივარაუდეთ, ნბა-ს ფინალში „დალასი“ და „მაიამი“ ითამაშებენ.**

ტეხასელებმა გადამწყვეტი ჩხვლეტა „ოკლაჰომას“ საკუთარ დარბაზში მიაყენეს – 100:96 და სერია 4:1 მოიგეს, მათმა მომავალმა მეტოქემ კი, მართალია, „ჩიკაგოს“ ასეთივე საერთო ანგარიშით სძლია, მაგრამ ბოლო ბრძოლა მისსავე სარბიელზე მართლაც რომ ზღაპრული ფინიშით დაუგვირგვინა – 83:80.

საფინალო სასტვენამდე 3 წუთით ადრე მასპინძლები 12-ქულიან უპირატესობას ფლობდნენ და, ალბათ,



ყველანი მეექვსე დუელზე ფიქრობდნენ, როგორც აღმოჩნდა, ყველანი ფლორიდელთა ლიდერების ლებრონ ჯეიმსის,დუეინ უეიდისა და კრის ბოშის გარდა, რომელთა ძალისხმევითაც სტუმრებმა დარჩენილ მცირე დროში სასწაული მოახდინეს.

დავძენთ, რომ „დალასი“ ნბა-ს ფინალში უკანასკნელად 2001 წელს გავიდა, ხოლო „მაიამი“ – 2007 წელს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ინტერნეტიდან

## ზიდანს აწინაურებენ?

**სახელგანთქმულ ფეხბურთელს, საფრანგეთის ნაკრების ყოფილ კაპიტანს ზინედინ ზიდანს აწინაურებენ – მალე ის დაიკავებს მადრიდის „რეალის“ სპორტული დირექტორის პოსტს, – იტყობინება ესპანური სპორტული გაზეთი Marka. შეგახსენებთ, რომ 2009 წლის შემოდგომიდან ის იყო კლუბის პრეზიდენტის ფლორენტინო პერესის მრჩეველი. ის ამავე დროს ეხმარებოდა მთავარ**



**მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს. ახლა მიმდინარეობს სამეფო კლუბის მმართველობის სისტემის გადაკეთება, რაც დაკავშირებულია გენერალური დირექტორის ხორხე ვალიდანოს გადადგომასთან. პერესმა გადაწყვიტა ამ პოსტის გაუქმება, თუმცა Marka ზიდანს მის მემკვიდრედ მიიჩნევს, მაგრამ არ აზუსტებს, თუ კერძოდ რომელი მოვალეობები დაეკისრება მას.**

ალბათ გახსოვთ, რომ ზიდანი „რეალში“ თამაშობდა 2001-2006 წლებში, მან გუნდთან ერთად გაიმარჯვა ესპანეთის ჩემპიონატსა და სუპერთასის გათამაშებაში, ჩემპიონთა ლიგაში და უეფას სუპერთასზე, აგრეთვე კონტინენტთაშორისო თასზე. საფრანგეთის ნაკრებთან მან მოიგო 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატი და 2000 წლის ევროპის ჩემპიონატი.

## ისინბაევა ემზადება



**ჭოკით ხტომის მოყვარულებს ალბათ მოენატრათ ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ელენა ისინბაევას ახალ-ახალი რეკორდები.** ამის დროც მალე დადგება – 16 ივლისს ბელგიაში „ბრილიანტის ლიგის“ ეტაპზე ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ელენა ისევ ცდის ძალებს. როგორც სპორტსმენის მწვრთნელმა ევგენი ტროფიმოვმა განაცხადა, ამ დღეებში ელენამ ვარჯიშის დროს კარგი შედეგები აჩვენა. ღმერთმა ხელი მოუმართოს მთავარ შეჯიბრებებზეც!

## დღევანდელ ფინალს უმსაჯებენ

**დადგა ფეხბურთის მოყვარულების ნანატრი დღე. ლონდონში „უემბლის“ სტადიონზე დღეს ევროპული ფეხბურთის დღესასწაულია – ჩემპიონთა ლიგის ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდება თანამედროვე ფეხბურთის ორი გრანდი – ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი“ და ესპანეთის „ბარსელონა“.**

ამ დიდმნიშვნელოვანი მატჩის გაძღოლა ევროპული ფეხბურთის შტაბის – უეფას მსაჯთა კომიტეტმა უნგრელ არბიტრთა ბრიგადას მიანდო. მეტოქეებს მინდორზე გამოიყვანს 35 წლის უნგრელი ვიქტორ კაშაი. ამ საპასუხო შეხვედრის გაძღოლაში მას დაეხმარებიან გაბორ ეროში და დიორდი რინგი. დამატებითი მსაჯები არიან მიხაი ფაბიანი და ტამაშ ბოგნარი. სათადარიგო მსაჯია იშტვან ვადი. სარეზერვო თანაშემწე კი რობერტ კიშპალი.

კაშაი ფიფას მსაჯთა ბრიგადაში შეიყვანეს 2003 წელს.




რის შემდეგ ის უძღვებოდა 60-ზე მეტ მატჩს. შარშან ის წარმატებით სჯიდა 2010 წლის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მატჩებს, მათ შორის ნახევარფინალში გერმანია-ესპანეთის შეხვედრას.

ესეც სპორტია

# მკერდი და რა მკერდი

**ბულგარული „პლეიბოის“ ვარსკვლავი ზლატკა დიმიტროვა დაბადებიდან 27-ე წელს აღნიშნავს, თანაც ისე, რომ მისი მშობლიური ქალაქი ბურგასი დიდებული სტუმრებით გაივსო.**

საქმე ისაა, რომ ზლატკას გადაუწყვეტია, შეეერთებინა თავისი დაბადების დღე და ახალი ძალზე პიკანტური დაწესებულების – Budda Bar – გახსნის ზეიმი. რესტორანში, სადაც ეს მოვლენა აღინიშნებოდა, თავი მოიყარეს არა მხოლოდ ბურგასის საზოგადოების ნაღებმა, არამედ სოფიიდან ჩამოსულმა VIP სტუმრებმაც.

განსაკუთრებით გამოირჩეოდა „მის სილიკონი – 2010“-გერგანა საჩევსკა, ძალზე თამამი სამოსი რომ შეარჩია თავისი ახალი მკერდის დემონსტრირებისთვის. სანახავი კი ნამდვილად იყო – 1400 კუბური სანტიმეტრი ყოფილა მისი მოცულობა. სექსუალური ლამაზმანი შეკრებილთ დაწვრილებით უყვებოდა თავისი დიდებული მკერდის შექმნის ისტორიას. რასაკვირველია, ხაზი გაუსვა, რომ ადვილი არაა ასეთი მკერდის ტარება და რომ მას ყოველდღიური სპორტული ვარჯიში და წრთობა სჭირდება.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ახალგაზრდობის ტრიბუნა

# დიდი ეთნომუსიკოლოგი

## მიეძღვნა პროფესორ გრიგოლ ჩხიკვაძის ხსოვნას



**შესრულდა გამოჩენილი ფოლკლორისტისა და ეთნომუსიკოლოგის – პროფესორ გრიგოლ ზაქარიას ძე ჩხიკვაძის დაბადების 110 წლისთავი. ბატონ გრიგოლს ეკუთვნის ფუნდამენტური შრომები ქართული ხალხური მუსიკისა და ძველი ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიის შესახებ.**

თბილისის კონსერვატორიაში გაიმართა პროფ. გ. ჩხიკვაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია და ფოლკლორული კონცერტი.

სამეცნიერო კონფერენციაზე გამოსულთა მოხსენებებში (ნ.ზუმბაძე, თ.გაბისონია, ნ.ღამბაშიძე, ო.კაპანაძე, ს.ჯანგულაშვილი, ნ.მახარაძე, ქ.ბაიაშვილი, ნ.ფირცხალავა, თ.რუხაძე, ნ.ნაკაშიძე) წარმოჩინდა გ.ჩხიკვაძის, როგორც მეცნიერი მკვლევარისა და ხალხური მუსიკის ნიმუშთა შემკრების ისტორიული მნიშვნელობა, მისი შრომების შემეცნებითი ღირებულება.

მოგონებებით გამოსულებმა დ.მესხმა, რ.ქუთათელაძემ, ზ.ბარამიძემ, გ.ტორაძემ, ნ.ფირცხალავამ, ქ.მანჯგალაძემ, მ. ხაინდრავამ ილაპარაკეს ბატონ გრიგოლის იშვიათ ადამიანურ თვისებებზე, გულისხმიერებაზე, კეთილშობილებაზე.

მოხსენებები და მოგონებები ილუსტრირებული იყო სათანადო ვიდეომასალით.

ძალზე საინტერესო და მრავალფეროვანი იყო კონცერტიც, რომელიც გაიმართა კონსერვატორიის დიდ დარბაზში. მასში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა, როგორებიცაა „ანჩისხატი“, „ლაშარი“, „ახალუხები“, „მზეთამზე“, „სახიობა“, „ბალავარი“, კონსერვატორიის ფოლკლორული ანსამბლი. მოვისმინეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და სხვადასხვა ჟანრის სიმღერები, კვლავ მოვიხიბლეთ მათი სიმდიდრითა და ცხოველმყოფელობით.

კონცერტს უძღვებოდა კონსერვატორიის პროფესორი ქ-ნი ნატო ზუმბაძე. საღამო დაამშვენა გამოჩენილი მუსიკოსის ანზორ ერქომაიშვილის გამოსვლამ, სადაც იგი იგონებდა ბატონ გრიგოლს, მასთან ერთად ფოლკლორულ ექსპედიციებში მონაწილეობის დაუვიწყარ ეპიზოდებს.

დიდი მადლობა ამ შესანიშნავი ღონისძიებების ორგანიზატორებს, კონფერენციისა და კონცერტის მონაწილეებს.

**თეონა გაბედავა,**
**მარიკა რევაზიშვილი,**
**თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტები.**

წიგნი

# ქართული სამედიცინო მეცნიერების კიდევ ერთი გამარჯვება

**ქართული სამედიცინო ლიტერატურა გამდიდრდა საინტერესო, აქტუალური საკითხისადმი მიძღვნილი მონოგრაფიით. გამოქვეყნდა ცნობილი ქართველი ექიმების აკაკი გამყრელიძის, ირაკლი გიორგობიანის და შოთა გამყრელიძის ნაშრომი „აზარტომანია XXI საუკუნის ნარკომანია.“ თბილისი 2011.**

კაცობრიობა უხსოვარი დროიდან იცნობს აზარტულ თამაშებს, ისიც ცნობილია, რომ ადამიანი ჩვილი ასაკიდან გარემოსთან კავშირს თამაშით იწყებს – ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ ბავშვი მიმართავს თამაშს. ზრდასთან ერთად იცვლება თამაშთან დამოკიდებულება. სწორედ ამის გამო კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე წარმოიშვა კოჭით თამაში, სათამაშო კამათლები, ბანქოს ბარათები (კარტი). ამ უკანასკნელმა განსაკუთრებული გავრცელება და განვითარება ჰპოვა, ვინაიდან დაუკავშირდა ფულის მოგებას, რამაც თამაში აქცია შემოსავლის წყაროდ და სათავე დაუდო აზარტომანიას.

ბანქოს თამაშის დიდი მოყვარულები იყვნენ დიდი რუსი პოეტები დერჟავინი და პუშკინი. უინსტონ ჩერჩილს საგარეო საქმეთა მინისტრად მოღვაწეობის წლებში ჰქონდა თანამდებობა ბატონ ჩერჩილის პარტნიორი ბრიჯის თამაშისათვის. მარგარეტ ტეტჩერს ასეთი საშტატო ერთეული არ ჰქონია, მაგრამ ითვლებოდა ბრიჯის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ. დღესაც ბანქოს თამაშობენ მთელ მსოფლიოში. საინტერესოა რომ ბანქოს თამაში აუცილებელი საგანია ნატოს ქვეყნების სამხედრო აკადემიის სტუდენტებისათვის.

ნოდარ როგავას ხსოვნას

# არასოდეს დაგივიწყებთ



მართლაც თავზარდამცემი იყო შენი მოულოდნელი სიკვდილი.

ნოდარ როგავა – ღვთისმოსავი, ზნეკეთილი, მუდამ საქმიანი, მოუსვენარი, ზოგოქარი, მებრძოლი, მიზანდასახული, მძიმე განსაცდელსა და ჭირ-ვარამით სავსე წუთისოფელზე მუდამ გამარჯვებული...

შენ ხომ სიყვარულისა და თანადგომის ეტალონი იყავი, ოჯახსა და სამეგობროზე თან გადაყოლილი, რწმენით სავსე, ნაღდი, უღალატო კაცი.

როგორ გვიჭირს უშენობა, ვერა და ვერ ვეგუებით ამ მწარე სინამდვილეს. რა მოულოდნელად გამოგვეცალე ხელიდან... გაზაფხული წელიწადის ყველაზე ლამაზი დროა, ჩვენთვის კი ეს გაზაფხული მრუმე, შავი ფერებით აივსო...

საოცარი განცდებით და ტკივილით, ცრემლითა და წუხილით შევხვდით შენი დაბადების დღეს – 5 მაისს. წლეულს 64 წელი შეგისრულდებოდა... ვერ მოესწარი, დიდ ხუთშაბათს გარდაიცვალე. მართალია, ამ დღეს წასულები მარადიულ საუფლოში – სამოთხეში იმკვიდრებენ ადგილს, მაგრამ... სწორედ იმ დროს დაგვტოვე, როცა ერთად უნდა ვყოფილიყავით... როგორი ტკივილით, მაგრამ მაინც სიყვარულით სავსე გზა განვვლეთ სოხუმიდან თბილისამდე, დევნილობიდან – დღევანდელ დღემდე. რამდენი ვიწვალეთ, ყველაფერი თავიდან შევქმენით, მტერი არ გავახარეთ...

უსაზღვრო მონატრებით, ცრემლითა და გაუსაძლისი ტკივილით გავიდა 40 დღე, ჩაქრა სიხარული, რომლის დაუშრეტელი წყარო შენ იყავი. წარმოუდგენლად მშვიდად, უხმაუროდ გაგვეცალე, ყველასა და ყველაფერზე მოფიქრალმა გულმა გიღალატა! არადა, ყველასთან პირნათელ კაცს აწი გინდოდა სიცოცხლე. როგორ შეჰხაროდი პატარა ნიკოლოზის – პირველი შვილიშვილის უმანკო ღიმილს, ახლა რომ სევდიანი თვალებით დაგეძებს და ბაბუ-ბაბუს გაიძახის...

გარდაცვალების შემდეგ უფრო ძალუმად ვგრძნობთ შენს პიროვნულ ხიბლს, სიყვარულის ნიჭს, უკან დარჩენილ „განათლებულ კვალს“.

თავს ოდნავ იმით ვინუგეშებთ, რომ დიდი ილიას ბრძანებისა არ იყოს „აქ სტუმრად იყავ და მარადიულობაში, შინ წახველი“.

შენს სახელზე აღვლენილმა ლოცვამ, უფლის შეწევნით, გზა გაგინათოს და ნათელი დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველში.

გჯეროდეს, არასოდეს დაგივიწყებთ, შენს წმინდა საფლავს თვალისჩინივით გავუფრთხილდებით.

მუდამ გვეამაყებოდი და გვეამაყები. მუდამ გვიყვარდი და გვეყვარები.

მეუღლე და შვილები –
**ნათელა, ნონა, გიორგი**

# გზა – სიყვარულის და თანადგომისა



ადამიანის ცხოვრების ღირსებას და ღვაწლს, მხოლოდ წელთა სიმრავლე როდი განსაზღვრავს. მთავარია პიროვნების მიერ დათესილი სიკეთე და მადლი, რაც ღვთის წყალობით ეძლევა თითოეულ ჩვენთაგანს და რომელიც უხვად ჰქონდა ბოძებული და გაღებული ჭეშმარიტ ვაჟკაცსა და მამულიშვილს, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, ღირსების ორდენოსან ნოდარ მიხეილის ძე როგავას.

ის იყო თავმდაბალიც და ზვიადიც, მშვიდიც და ემოციურიც, სულით მდიდარიც და სევდიანიც. ის იყო დიდი პედაგოგი, სტუდენტთა მესაიდუმლე და მფარველი, ახალგაზრდობის ქომაგი. მაინც როგორ შეეძლო ყველაფერი გაეთვალისწინებინა და ყველასთვის გაეგო, ჭეშმარიტი მესაიდუმლე და გულშემატკივარი ყოფილიყო. მოწოდებით პედაგოგი და ნამდვილი პროფესიონალი დინჯად დააბიჯებდა კოლეჯის დერეფანში, მისი გამოჩენა, როგორც დირექტორისა, ჩვეულებისამებრ შიშს და ზედმეტ მოკრძალებას კი არ იწვევდა, არამედ რწმენას, იმედს, მხარდაჭერას, იმ სტუდენტების დაცვას, რომლებიც ზოგჯერ ანცობით გამოირჩეოდნენ.

ნოდარი იყო ადამიანებს შორის ჯანსაღი, შესანატრი ურთიერთობის დიდოსტატი, ახალგაზრდობაზე მშობელივით მზრუნველი. სწორედ ნოდარ როგავას ძალისხმევითა და მონდომებით, დევნილობის პერიოდშიც მან შეძლო აფხაზეთის ამ უძველესი სასწავლებლის შენარჩუნება და ფეხზე დაყენება, სასწავლებლისა, რომლის 100 წლის იუბილე აქ, თბილისში გადავიხადეთ.

როგორც იტყვიან, ნოდარმა რკინის ქალამანი ჩაიცვა და ისე შეძლო არა ოდენ სასწავლებლის, არამედ თითოეული თანამშრომლის თბილისში დამკვიდრება-შენარჩუნება. ალბათ, დიდი გულისტკივილით და დიდი სიამაყით, ჩვენი სასწავლებლის სიყვარულით მაინც ბოლომდე გაიტანა ლელო. ამ კოლეჯში ხომ ინსტიტუტის დამთავრებიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე იმუშავა მთელი ენერგიით და ბოლომდეც გაიხარჯა...

მართლაც კაცური გზა განვლო – გზა მოყვასის სიყვარულისა და თანადგომისა, საკუთარი პროფესიის ერთგულებისა.

ბუნებრივია, ბატონ ნოდარ როგავას დიდი ტკივილიც თან წაჰყვა მშობლიურ მხარეში, მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნებისა, ერთ დიდ მუშტად შეკრული მამულის ხილვისა...

ვაგლახ, რომ ვერ მოესწრო.

ნოდარ როგავას ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ყველა ჩვენგანის გულში.

სოხუმის მრავალდარგოვანი კოლეჯის (ყოფილი ინდუსტრიული ტექნიკუმის) თანამშრომლები

სულთათანა

# ესტატე (თენგიზ) ანთელავა

კიდევ ერთმა ღირსეულმა პიროვნებამ დატოვა წუთისოფელი და ზეციურ სასუფეველში გადაინაცვლა, კიდევ ერთი თვალსაჩინო მოღვაწე გამოაკლდა აფხაზეთიდან დევნილ ინტელიგენციას – გარდაიცვალა ცნობილი ისტორიკოსი, უმაღლესი სკოლის ღვაწლმოსილი მუშაკი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ესტატე (თენგიზ) ანთელავა.

თენგიზ ანთელავა დაიბადა 1935 წელს ქ. სოხუმში. 1956 წელს წარჩინებით დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. 1957-1975 წლებში მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე; 1976-1979 წლებში იყო სოხუმის №1 სკოლა-ინტერნატის დირექტორი. პარალელურად ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. 1979 წლიდან უკვე აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აგრძელებს მუშაობას. იყო ისტორიის კათედრის მასწავლებელი, დოცენტი, ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. 1989 წლიდან კი 17 წლის მანძილზე სათავეში ედგა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიულ ფაკულტეტს; ამავე დროს იყო მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი თენგიზ ანთელავა იყო ჩრდილოეთ კავკასიის XIX-XX საუკუნეების ისტორიის აღიარებული მკვლევარი, რომლის მონოგრაფიებსა და სტატიებში მკაფიოდაა ნაჩვენები რუსეთის იმპერიული პოლიტიკა რეგიონის მიმართ.

თენგიზ ანთელავა ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იყო აფხაზეთის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე. დაჯილდოებულია ღირსების მედლით.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურა, სტუდენტობა პატივს მიაგებენ ცნობილი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, პროფესორ თენგიზ ანთელავას ნათელ ხსოვნას.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი აღმოსავლეთმცოდნე-არაბისტი

მარიამ ნედოსპასოვა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე შურა, შვილები ნინო, ლია, და ნუცა (ნაცოძ, ძმები ვასო, კოტე, შვილიშვილები დავით, ბონდო (ერეკლეძ სამუშიები, იოსებ ჩიქავა, სიძე გურამ ჩიქავა, შვილთაშვილი კონსტანტინე, ბიძაშვილები, დეიდაშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბონდო აკაკის ძე სამუშია

პანაშვიდი 28, 29, 30 V, 16 სთ. მისამართი: ქ. ზუგდიდი, ბორჯომის ქუჩა II შესახვევი, № 14. დაკრძალვა 31 V, 15 სთ. მისამართი: ქ. ზუგდიდი, საჯვაროს უბანი, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის ტაძარი.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## დაიჯესტი

**ეს სულაც არ ყოფილა უბრალო ქორწილი — ეს ჭეშმარიტად ისტორიული მოვლენა გახლდათ. ამ ცერემონიას ათიათასობით საგაზეთო სტატია, ტელესიუჟეტი, ინტერნეტის პუბლიკაცია და, ბოლოს, მთელ მსოფლიოზე პირდაპირი ტრანსლაცია მიეძღვნა... იქნებ ყოველივე ამის საიდუმლო ის არის, რომ ადამიანებს, როგორიც გნებავთ პრაგმატიკოსები იყვნენ, ქვეცნობიერად, გულის სიღრმეში, ზღაპრების მაინც სჯერათ...**

# გასავალი — 100 მილიონი, შემოსავალი — 170 მილიონი

ისე, ამ ზღაპრის „შესავალი“ ცოტა არ იყოს გაიწელა: დიდი ბრიტანეთის მომავალი მეფის, სამეფო ტახტის მემკვიდრეთა რიგში № 2-ის, პრინც უილიამისა და ქეით მიდლტონის რომანტიკული ურთიერთობები ჯერ კიდევ 2002 წელს დაიწყო, ხოლო ნიშნობის შესახებ მათ მხოლოდ შარშან ნოემბერში, ანუ რვა წლის შემდეგ გამოაცხადეს. ამ დროში ქეთრინ ელიზაბეტ მიდლტონს „მისს მოლოდინი“ შეარქვეს. რვა წლის მანძილზე წყვილი ურთიერთობების გარკვევაშით იყო — ხან ცილდებოდნენ, ხან ისევ ერთად იყვნენ. ქორწილის წინ ისინი კლარენს-ჰოლში ცხოვრობდნენ, იმ ოთხსართულიან სასახლეში, რომელშიც ტახტზე ასვლამდე თავად დედოფალი ელისაბედ II ცხოვრობდა.

ამჟამად უილიამი და ახლად გამომცხვარი ჰერცოგინია კემბრიჯელი უელსის ჩრდილოეთით ცხოვრობენ, სადაც პრინცი სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალებში მსახურობს, მაგრამ შაბათ-კვირას წყვილი ვალდებულია ლონდონში ჩავიდეს სხვადასხვა ოფიციალურ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. ამ დროს ისინი კენსინგტონის სასახლეში ცხოვრობენ, სადაც განქორწინების შემდეგ უილიამის დედა, პრინცესა დიანა ცხოვრობდა. სხვათა შორის, მათ მსახურები არ ჰყავთ — უილიამი ჩინებული მზარეული ყოფილა!



მართალია, უილიამისა და ქეითის ქორწილი დიდი ბრიტანეთის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული გახდა — სამკაულები, სამოსელი, სტუმართა გამასპინძლება, უსაფრთხოების დაცვა, პლუს ის ხარჯი, რაც ქვეყნის ეკონომიკამ დამატებითი დასვენების დღის გამო განიცადა, საეკლესიო ხარჯი, ყვავილები, საზეიმო მიღება და ა.შ. — მთლიანად 100 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდა. ამასთან, უკვე დაითვალეს, რომ ამ ქორწილმა ბრიტანეთის ხაზინას, სულ მცირე,170 მილიონი გირვანქა სტერლინგი მოუტანა — ესაა „დამატებითი“ ტურისტებისგან, სუვენირების გაყიდვაზე გადასახადისგან და ა.შ. მიღებული შემოსავალი.

ყველაზე საგულისხმო კი ის არის, რომ თავად ნეფე-პატარძალი საკუთარ ქორწილში ერთი პენითაც არ გამდიდრებულა! საქმე ის არის, რომ უილიამმა და ქეითმა წინასწარ განაცხადეს, რომ უარს ამბობენ საჩუქრებზე: **ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენ მხოლოდ ნაღდ ფულს ვიღებთ!** თუმცა ამის გამო მათი სიხარბეში დადანაშაულება შეუძლებელია — საქორწინო მოსაწვევებთან ერთად სტუმრებმა საქველმოქმედო ორგანიზაციების ანგარიშებზე ფულის გადარიცხვის თაობაზე სპეციალური ინსტრუქციები მიიღეს. თუმცა სერ ელტონ ჯონმა გამოსავალი მაინც მონახა და ახლადშეუღლებულებს... სიმღერა აჩუქა.

საქორწინო სუფრა განსაკუთრებული სიუხვით არ გამოირჩეოდა, ძირითადი აქცენტი ათასგვარ ნამცხვარზე იყო გადატანილი და ორ ტორტზე, რომელთაგან ერთი პატარძლისა იყო, მეორე — სიძისი, რომელმაც თავისი საყვარელი შოკოლადიანი ბისკვიტი შეუკვეთა, ქეითმა კი „თავისაზე“ 16 სახეობის ყვავილი და ფოთოლი გამოასახინა.

დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების კაპიტან უილიამის ყოველწლიური ხელფასი 40 ათასი გირვანქა სტერლინგია (დაახლოებით 110 ათასი ლარიძ. გარდა ამისა, ცოლის (რომელიც, სხვათა შორის, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ვაშინგტონის შორეული შთამომავალია!ძ შენახვაში მას ასევე „შეეხიდება“ დედის დანატოვარი კაპიტალიდან შემოსავალი. ოჯახს ასევე „წაადგება“ ქეითის მზითევიც, რომლის მშობლებს საფოსტო ოპერაციებმა დიდძალი ქონების დაგროვების შესაძლებლობა მისცა.

ჰერცოგინია ქეთრინ ელიზაბეტმა განაცხადა, რომ საქველმოქმედო მოღვაწეობით დაკავდება, მაგრამ მისმა უახლოესმა მეგობარმა ჟურნალისტებთან გაამხილა, რომ იგი ბავშვზე ოცნებობს.

**ირმა ირემაშვილი**

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ გულითადად ულოცავს დაბადების საიუბილეო 70 წელს ცნობილ ქართველ მეცნიერს, ლიტერატურათმცოდნეს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ქართული ეროვნული კულტურისა და მწერლობის დიდ მოამაგეს, პროფესორ ბატონ გურამ ბენაშვილს.



ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ოჯახისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ღრმა პატივისცემით,
ბონდო კობაძე,
ფონდის პრეზიდენტი, „წმინდა ექვთიმე თაყაიშვილის“ პრემიის ლაურეატი

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● გლოვის დროს ჩვენთან შავ ტანსაცმელს იცვამენ. ზოგიერთ ხალხში ამ დროს მიღებულია სხეულის წითლად მოხატვა, ზოგან ტალახით ითხუპნებიან, ზოგან ტანსაცმელს ბალახით იფარავენ, ზოგან კი ძალიან დიდი ზომის ქსოვილში ეხვევიან.

● ძველ ჩინეთში კაბინეტის ძვირფასეულობას უწოდებდნენ ოთხი ნივთისაგან შედგენილ საწერ მოწყობილობას: ტუშს, ტუშის შესაზავებელ ქვას, ქაღალდსა და ფუნჯს.

● საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასაწყისში დედოფალ მარია-ანტუანეტას აუგად მოიხსენიებდნენ სწორედ იმის გამო, რომ წარჩინებული ქალბატონები იძულებული იყვნენ კარეტაში სავარძელზე კი არ დამსხდარიყვნენ, არამედ მუხლებზე დაჩოქილს ემოგზაურათ, რადგანაც მოდის კანონმდებელმა მარია-ანტუანეტამ შემოიღო მაღალი ვარცხნილობა, რითაც ქალბატონები კარეტაში ვერ ეტეოდნენ.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | — 1.6840 ლარი |
| 1 ევრო | — 2.3930 ლარი |
| 1 გირ. სტ. | — 2.7390 ლარი |
| 100 რუბლი | — 6.9891 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | — 5.5068 ლარი |
| 1 აზ. მან. | — 2.1303 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | — 2.1107 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | — 1.0635 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | — 2.5885 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +16 — +24 |
| ქუთაისი. | +17 — +29 |
| ბათუმი. | +18 — +24 |
| ზუგდიდი. | +18 — +29 |
| თელავი. | +16 — +23 |

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით. 868 838 858

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

— საჯარო მოხელის შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოხსენიებისთვის 500 ლარით ჯარიმდებით, — ეუბნება მოსამართლე ბრალდებულს. — ხომ არ გსურთ რაიმეს თქმა ამასთან დაკავშირებით?

— როგორ არა, ძალიანაც მინდა, მაგრამ თქვენთან ისეთი ფასებია!..

* * *

— გვიჩვენეთ რუკაზე წითელი, ყვითელი, შავი და თეთრი ზღვები!

— ეუბნებიან სვანს გამოცდაზე.

— არ შემიძლია, დალტონიკი ვარ!

* * *



— პარტკომის უკანასკნელ კრებაზე რატომ არ იყავით? — საყვედურობენ მიხოს.

— რომ მცოდნოდა, უკანასკნელი იყო, არ მოვიდოდი კი არა, სიდედრსაც მოვიყვანდი!

* * *

— კი, მაგრამ შენ როდიდან ეწევი? — ეკითხება ერთი ქალი მეორეს.

— მას მერე, რაც ჩემი ქმარი მოულოდნელად დაბრუნდა მივლინებიდან და საფერფლეში სიგარეტის ნამწვი იპოვა.

* * *

— ეჰ, შვილო, დაქორწინდები და მიხვდები, რა არის ნამდვილი ბედნიერება! — ეუბნება მამა შვილს.

— მართლა, მამი?

— ჰო, მართლა, მაგრამ, უკვე ძალიან გვიანი იქნება!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24